შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა წამებისათვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატი: ლიკა გოცირიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია....3
Annotation....4
შესავალი....5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა....7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი....10
2.1 წამების შემადგენლობა....10
2.2 წამების ობიექტური შემადგენლობა....16
2.3 წამების სუბიექტური შემადგენლობა....26
2.4 წამების მაკვალიფიცირებელი გარემოებები....34
2.5 წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის გამიჯვნა....40
თავი III. კვლევის შედეგები....45
დასკვნა....53
გამოყენებული ლიტერატურა....55

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათავალისწინებულ 144^1 მუხლს, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ,,წამება''. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ის ლიტერატურა, რომელიც მისი წერისას გამოვიყენე და მათი მნიშვნელობა, აღნიშნული თემის მიმართ. მეორე თავი ეხება, თემის ძირითად ნაწილს, სადაც საკვლევი საკითხის აქტუალობა და მისი სტრუქტურაა განხილული, იგი ოთხ ქვეთავად იყოფა. პირველ და მეორე ქვეთავში განხილულია ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა,მესამე ქვეთავში ნორმის დამამძიმებელ გარემოებებზეა საუბარი. რაც შეეხება მეოთხე ქვეთავს, იქ 144^1–ე (წამება) და 144^3–ე(დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებია შედარებული. ნაშრომის მესამე თავში, აქცენტი საკვლევი თემის შედეგებზეა გაკეთებული, სადაც ბოლო წლების მანძილზე განვითარებული მოვლენების ასახვა ხდება. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია 144^1–ე მუხლის უარყოფითი მხარეები.

Annotation

The master's thesis concerns the article 144^1 of the Criminal Code of Georgia,According to which "torture" is prohibited. The work consists of the introduction, three chapters and conclusions. At the end of the work is indicated used literature.In the first chapter of the work, I consider the literature that I used in writing and their importance to this topic.The second chapter refers to the main part of the topic where the subject matter and its structure are examined are divided into four subdivisions.In the first and second subparagraphs the objective and subjective composition of the action is discussed,In the third sub-paragraph, it is about the aggravating circumstances of the norm. As for the fourth subdomain, there are 144^1 (torture) and 144^3 articles (degrading or inhuman treatment).In the third chapter of the work, the focus is on the results of the research topic, where the events that took place over the last few years are reflected.The final part of the work is summarized in the negative aspects of Article 144^1.

შესავალი

როგორც ვიცით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლით აკრძალულია წამება, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. ეს დებულება საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-9 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ ,,დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება'' და რადგანაც ადამიანის ხელშეუხებლობა უმაღლესი ღირებულებაა, იგი დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა კანონმდებლობითაც.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავი ეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, რომელთაგან ერთ–ერთს წარმოადგენს სსკ-ის 144[1] მუხლი ,,წამება'', რომელიც არაადამიანური მოპყრობის მეტად საინტერესო და სპეციფიკური სახეა.

საკვლევი თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები უკანასკნელი წლების განმავლობაში, გამოსაკვლევი დანაშაულის რაოდენობამ მკვეთრად იმატა.მსურს მკაფიოდ შევეხო ყველა იმ ასპექტს, რომელიც ახასიათებს ზემოთ აღნიშნულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ანუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ამ სახეს. მინდა შევეხო ყველა იმ პრობლემას, რომელიც ჩემი აზრით არსებობს აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით და ვეძებო მისი გადაწყვეტის გზები.

ნაშრომის მიზანი და ამოცანა. ნაშრომის მიზანი და ამოცანაასსკ–ის 144[1] მუხლის ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლა, მასზე არსებული სასამართლო

[1]საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წელს, 2019 წლის მდგომარეობით მ.9.

პრაქტიკის შესწავლა, მათი განზოგადებისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე.თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. საქართველომ კი შესაბამის საერთაშორისო ნორმებთან საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულება იკისრა, რამაც საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა ამ საკითხის მნიშვნელობა.

კვლევის მეთოდები.ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაჭრისათვის, სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი თემის პრობლემის გაანალიზებისას გამოყენებულია ისტორიული, სტატისტიკური, შედარებით–სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მეტ–ნაკლებად, ობიექტურად წარმოჩინდეს საკვლევი თემის აქტუალურობა თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში.

ახლა უშუალოდ განვიხილავ თუ რომელი მეთოდი რა პრობლემის გადაჭრაში დამეხმარა და რა გავაანალიზე აღნიშნული მეთოდით. ,,ისტორიული მეთოდი'' დამეხმარა განმესხვავებინა გასულ საუკუნეებსა და ახალანდელ დროში, წამების ხერხებს შორის განსხვავება, ასევე მათი მსგავსება და ის თუ, რატომ იყენებდნენ და იყენებენ მაშინაც და ახალაც ამ მეთოდს სხვადასხა დანაშაულის ჩადენისას.,,სტატისტიკური'' მეთოდით თემაში გამოყენებულია ინფორმაცია, წამების, როგორც დანაშაულის სხვადასხვა დროს ჩადენილი ქმედებები და დღემდე არსებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რა პროცენტული მაჩვენებელი აქვს ამ ქმედებას, აღნიშნული დანაშაულის განხორციელებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, რის შემდეგ იკლო ან იმატა, დანაშაულის მაჩვენებელმა და ა.შ. რაც შეეხება ,,შედარებით'' მეთოდს, იგი აუცილებელია, მოცემულ თემაზე მუშაობისას, რათა შედარება მოვახდინოთ ქართულ და უცხო ქვეყნის კანონმდებლობას შორის, კერძოდ, სასამართლო პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაანალიზოთ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემული მეთოდების გამოყენებით და დახმარებით აღნიშნული თემის შესახებ მოვიპოვე ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა ზუსტად

გამეგო, თუ რა არის 144[1] (წამება) მუხლი, და მასთან დაკავშირებული საკვლევი საკითხები.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

როგორც შესავალში ავღნიშნე, ჩემს მიერ განსახილველი თემა ეხება ისეთ მნიშვნელოვან ფასეულობებს, როგორიცაა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე–5 მუხლით აკრძალული წამება, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. ეს დებულება საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებულია კონსტიტუციის მე–9 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ ,,დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება'',[2]რადგან ადამიანის ხელშეუხებლობა უმაღლესი ღირებულებაა, იგი დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა კანონმდებლობითაც. სწორედ, ამიტომ გადავწყვიტე, გავცნობოდი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტად გვევლინება, ასევე გავეცანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალს. მათ უკეთ გასააზრებლად, გადავწყვიტე გავცნობოდი სამეცნიერო სახელმძღვანელოებს, რის გამოც მოვიძიე სხვადასხვა წიგნები, სტატიები საქართველოსა თუ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები. სადაც კარგად იყო განმარტებული ადამიანის საერთაშორისო უფლებები, პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ცნებები.

[2]საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წელს, 2019 წლის მდგომარეობით მ9.

ამის შემდეგ, გავაანალიზე ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია, როგორც უმთავრესი კანონი, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს ყველა სხვა შიდა კანონი. შევეხე საქართველოს სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს, რისი საშუალებითაც აღნიშნულ თემაზე მუშაობა მეტად გამიმარტივდა და მომეცა საშუალება ,,წამების'', როგორც სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველმოპყრობას უკეთ გავცნობოდი.

აღნიშნულ თემაზე მუშაობამ, ასევე საშუალება მომცა შემედარებინა იერარქიულად ქვემოდგომი და ზემოდგომი კანონების შესაბამისობა ერთამნეთთან.

თემაზე მუშაობისას გავეცანი (მ.ლეკვეიშვილი და სხვები) ავტორთა კოლექტივისმიერ დაწერილ სახელმძღვანელოს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი''. ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით საშუალება მომეცა ერთი წიგნის წაკითხვით გავცნობოდი სხვადასხვა ავტორთა ნააზრებს, ჩემს თემასთან დაკავშირებით.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების მიზნით გამოვიყენე (ო.ამყრელიძე და სხვები) ავტორთა კოლექტივი „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი", დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.

ასევე, გავეცანი ბაჩანა ჯიშკარიანის ნაშრომს, რომელიც ეხება ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ავტორი არა მარტო ზოგადად განიხილავს კანონით აკრძალულ ამა თუ იმ ქმედებებს, არამედ მეტი თვალსაჩინოებისათვის მოყავს კონკრეტლი მაგალითები, არა მხოლოდ საქართველოს არამედ ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზროს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმე, მისი მნიშვნელობა და მისგან გამოწვეული შედეგები.

თემაზე მუშაობისას გავეცანი სხვადასხვა სტატიებს, როგორც ქართულ ისე უცხოურ ვებგვერდებზე, რომელთაგან,დიდი ემოციური კვალი დატოვა ჩვენი ქვეყანის ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც ,,ციხის კადრების'' სახელწოდებით გახდა ცნობილი, ამ სტატიების კვლევისას მივიღე ისეთი ინფორმაციები,რომელიც დამეხმარება, მე როგორც მომავალ სისხლის სამართლის

სპეციალისტს, მსგავსი ისტორიების მქონე ხალხთნ კომუნიკაციასა და დახმარების აღმოჩენაში და რაც ყველაზე მთავარია, მსგავსი დანაშაულების აღმოფხვრასა და პრევენციაში.

ობიექტური და სუბიექტური შემადენლობების განხილვისას გამოვიყენე არა ერთი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო. გ. ნაჭყებია, „სისხლის სამართლის ზოადი ნაწილი“ 2011წ.; „სისხლის სამართლის ზოადი ნაწილი“ სახელმძღვანელო (გ.ტყეშელიაძე და სხვები) ავტორთა კოლექტივი, 2007წ. ;„სისხლის სამართლი ზოადი ნაწილი“ სახელმძღვანელო,(გ.ტყეშელიაძე და სხვები) ავტორთა კოლექტივი, 2016 წ.; ზ. მჟავანაძე, ო. მინდაძე, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, 2005 წ.;ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2010წ.

თემის მნიშვნელობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, გავეცანი შემდეგ სახელმძღვანელოს, ,,როგორ ავიცილოთ თავიდან წამება, რეკომენდაციები და სამართლებრივი ნორმები წამების მსხვერპლთათვის'', რომლის გამოცემაც ევროკავშირის მიერ დაფინანსდა. მოცემული ნაშრომის მნიშვნელობა მისი დასახელებიდანაც კარგად ჩანს, მისი გაცნობა ნებისმიერ ადამიანს, საშუალებას მიცემს გაერკვეს, რა არის წამება და როგორ შეგვიძლია მისგან თავის დაღწევა, თუ მისი საერთოდ თავიდან აცილება.

დადასტურებული ფაქტია, რომ იურისპრუდენცია არ არის ზუსტი მეცნიერება, რის გამოც ამ დარგში დიდია აზრთა სხვადასხვაობა, არსებობს მრავალი მოსაზრება, რომელიც მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ თემის კვლევისას მეც აღმოვაჩინე მსგავსი ფაქტები. რამაც დამაინტერესა ჩავღრმავებოდი არა მარტო ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას, არამედ ევროპის სასამართლოების პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რაც ნაშრომში მრავლად გამოვიყენე.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1 წამების შემადგენლობა

განსახილველი ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საფუძვლიან გამოკვლევასა და ხარვეზების დადგენას საჭიროებს, რომ უკეთ იქნეს დაცული ის სამართლებრივი სიკეთე რაც კონსტიტუციის მე–9 მუხლის მე–2 ნაწილით არისდადგენილი ,,დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება,, . [3]

,,წამება არის ,,სისტემატიური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. სისტემატიური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის საშუალებებია. ტანჯვა არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი და აუტანელი ტკივილია, რომელსაც დაზარალებული განიცდის წამების შედეგად. მტანჯავ მოქმედებებად ითვლება: ქამრით ცემა, გაროზგვა, მრავლობითი, მაგრამ მცირე დაზიანებები ბლაგვი, ან მჩხვლეტავ–მჭრელი იარაღით, თერმული ფაქტორებით

[3]საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წელს, 2019 წლის მდგომარეობით;

ზემოქმედება და ა.შ. აქვე უნდა დავასახელოთ საკვების, სასმელის ან სითბოს ხანგრძლივი შეწყვეტა, მსხვერპლის ჯანმრთელობისთვის მავნე პირობებში მოთავსება ან დატოვება და სხვა.''[4]

წამებისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური კუთხით, ასევე ადამიანის გაწონასწორებული ფსიქიკური მდგომარეობა. დანაშაულის დამატებითი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის პირად, ოჯახურ თუ სხვაგვარი ინფორმაციის დაცვასთან, წამების დამატებითი ობიექტია ადამიანთა თანასწორუფლებიანობაც, რასის, ეროვნების თუ სხვა ნიშნის მიხედვით.[5]

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის დაცვა წამებისაგან, პირის აბსოლუტური უფლებაა და მისი გამართლება არ შეიძლება რაიმე საზოგადოებრივი აუცილებლობით ან სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის. ამასთანავე, წამებად არ ჩაითვლება ქმედება, როდესაც ის მიმართულია თავად ამ პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად.[6] მაგალითად, შესაძლებელია პირს დაჭირდეს გადაუდებელი სასწრაფო დახმარება და ადგილზე არ მოიპოვებოდეს გაუტკივარე-ბისათვის საჭირო მედიკამენტები. ასევე ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია ორი ტიპის უფლება: უფლება, რომლებსაც სახელმწიფო ვერ შეზღუდავს ვერცერთ სიტუაციაში, მათ შორის საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი (მაგ., სახელმწიფო ვერ დაუშვებს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას).[7]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის I კარის მე_3 მუხლი კრძალავს ადამიანის წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ დასჯას ან მასთან ასეთი სახის მოპყრობას.[8]სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია ეს

---

[4]საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[5]ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წინი I (მეექვსე გამოცემა) თბ., 2016, გვ. 288.

[6]ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წინი I (მეექვსე გამოცემა) თბ., 2016, გვ. 288;

[7]ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ., 2017, გვ. 24 –25;

[8]ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;

კანონები და ნორმები ზედმიწევნით იქნებს გააზრებული და გათვალისწინებული, როგორც სახელმწიფოს ისე საზოგადოების ცნობიერებისათვის და ყველა ღონე იქნას გამოყენებული მათ დასაცავად.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი შეიქმნა 1989 წელს, წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენციის საფუძველზე.[9]

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ორგანიზებას უწევს ვიზიტებს კონკრეტულად დაკავების ადგილებში, რათა შეაფასოს თუ როგორ ეპყრობიან თავისუფლება აღკვეთილ პირებს. ეს ადგილები მოიცავს: ციხეებს, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილებს, პოლიციის განყოფილებებს, იმიგრირებულ პირთა დაკავების ადგილებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, სოციალური დაცვის სახლებს და სხვ.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრები არიან სხვადასხვა პროფესიის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტები, მათშორის იურისტები, ექიმები და სპეციალისტები სასჯელაღსრულებისა და პოლიციის სისტემიდან.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები სარგებლობენ შეუზღუდავი შესვლისა და გადაადგილების უფლებით დაკავების ადგილებში. ისინი პირადად ესაუბრებიან თავისუფლება აღკვეთილ პირებს და ასევე თავისუფლად უკავშირდებიან ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კი შეუძლია ინფორმაციის მიწოდება.

თითოეული ვიზიტის შემდეგ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი შესაბამის სახელმწიფოს უგზავნის დეტალურ ანგარიშს. ეს ანგარიში მოიცავს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოპოვებულ მონაცემებს, მის რეკომენდაციებს, შენიშვნებსა და მოთხოვნებს გარკვეული ინფორმაციის მიწოდებაზე. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მოითხოვს ასევე დეტალურ პასუხს ანგარიშში დასმულ

[9] http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-convention.pdf-, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

საკითხებზე. ეს ანგარიშები და პასუხები ქმნიან ერთგვარ დიალოგს შესაბამის სახელმწიფოებთან.[10]

წამების დეფინიცია ყველაზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ'' კონვენციაში (შემდგომში ,,გაეროს კონვენცია''). ამ საერთაშორისო დოკუმენტის 1 მუხლის მიხედვით, წამებაგანსაზღვრულია: ამ კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი ,,წამება'' ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტკივილი ან ტანჯვა განზრახ მიადგა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისგან მიღებულ იქნეს ინფორმაცია ან აღიარება, მისი დასჯა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა ან ბრალდებულია მის ჩადენაში, მისი დაშინებით ან იძულებით ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული მიზეზით, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია წაქეზებით, თანხმობით ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით.[11]

წამება წარმოადგენს სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის და სასჯელის დამამძიმებელ და განზრახ ფორმას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ქმედების წამებად მიჩნევისას მხედველობაში იღებს შედეგს, რომელიც მძიმე ზიანში გამოიხატება.[12] დამატებითი მოთხოვნაა წამების მიზანი, რომელიც მას სხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან გამოარჩევს.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმანეთისგან ასხვავებს წამებას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. ამ შემთხვევაში მიზნის არსებობა არ არის აუცილებელი.[14] არაადამიანური მოპყრობის შედეგი უნდა იყოს

---

[10]კევლიშვილი მ., სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2015, გვ. 44;

[11]ბატონიშვილი დ., სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 66.

[12]https://hudoc.echr.coe.int ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 1978 წლის განჩინება საქმეზე, Ireland v UK, პარ 167, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[13]https://hudoc.echr.coe.int ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2000 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე, Salman v Turkey, პარ 114, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[14]https://hudoc.echr.coe.int ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2000 წლის 6 აპრილის განჩინება საქმეზე, Labita v Italy. პარ 120, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

რეალური ჯანმრთელობის დაზიანება ან ინტენსიური ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი.[15] არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში მსხვერპლს წარმოეშობა შიშის, დაუცველობის ან არასრულფასოვნების განცდა, რაც მისთვის დამამცირებელია.[16]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს ,,de minis'' წესს, რომლის მიხედვითაც, ქმედება წარმოადგენს ევროკონვენციის მე–3 მუხლით მოცულს, თუკი მიიღწევა სისასტიკის მინიმალური ზღვარი. არასათანადო მოპყრობა მაშინაა, როდესაც კონკრეტული ქმედება აღემატება ლეგიტიმური, გონივრული ღონისძიებებისთვის დასაშვები მოპყრობის ზღვარს.[17]

გაეროს კონვენცია არ წარმოადგენს თვითაღსრულებად საერთაშორისო დოკუმენტს და მასში წარმოდგენილი დებულებები ექვემდებარებიან იმპლემენტაციას შიდა სამართალში. ამის ერთ–ერთი დასტურია მეოთხე მუხლი, რომელიც იმპერატიულად ადგენს: თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების ყველა აქტი დანაშაულად ითვლებოდეს ამ კონკრეტული სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.[18]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დამატებით მოითხოვს, რომ წამების დასჯა განხორციელდეს შესაბამისი მუხლების საფუძველზე და არა არაადეკვატური, მოჩვენებითი და ფიქციური მართმსაჯულების ფარგლებში.[19] ვინაიდან აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს, თავად იმ პრინციპების და ნორმების რღვევას, რომელებზეც დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის I კარის მე–3 მუხლი, ასევე საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ის კანონები და ნორმატიული აქტები, რომლებიც ახდენენ განსახილველი დანაშაულის აღკვეთასა და პრევენციას.

---

[15]https://hudoc.echr.coe.int ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 1999 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე, T & V v UK პარ 71, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[16]https://hudoc.echr.coe.int ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2006 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე, Jalloh v Germany, პარ 68, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

[17]https://hudoc.echr.coe.int ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2003 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე, Ocalan v Turkey, პარ 212–213, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[18]ბატონიშვილი დ., სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 68;

[19]CPT_ის მოხსენება ალბანეთში 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით, CPT/inf (2006) 24, პარ 54.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ,,წამება'' როგორც ინკრიმინირებული ქმედება, ერთ–ერთი უძველესი დანაშაულია, რომლის მეთოდები და განხორციელების ხერხები ეტაპობრივად იცვლებოდა და სხვადასხვა სახეს ღებულობდა, ერთ–ერთი იყო ცოცხლად დამარხვა: ეს მეთოდი სიკვდილით დასჯისთვისა და წამებისათვის ძირითადად მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა. ქალაქ ნანკინში ხშირად ხდებოდა იაპონელი ჯარისკაცების მიერ თავდასხმის შემდეგ ჩინელი მოსახლეობის ამ გზით დასჯა. შუა საუკუნეებში პოპულარობით სარგებლობდა მეთოდი, რომელიც ცოცხლად დაწვაში გამოიხატებოდა, ყველასათვის კარგად ნაცნობი, დასჯის (წამების, სიკვდილის) ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი იყო ჯვარცმა.[20]

როგორც ვხედავთ, წამების ხერხები მრავალფეროვანი იყო და დროის სვლასთან ერთად გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდიდა, წამების ამ ხერხებთან დაკავშირებით, უამრავი მაგალითისა და მოსაზრების მოყვანა და განხილვაა შესაძლებელი, თუმცა აღნიშნული ნაშრომი ემსახურება სსკ–ის 144^1 მუხლის ,,წამების'', სრულყოფილ და ყოველმხრივ შესწავლას, მის გარშემო არსებული პრობლემების გამოვლენას და მისი გადაჭრის გზების ძიებას. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ წამებას როგორც მსხვერპლზე მხოლოდ ფიზიკურ ზემოქმედების ხერხს ისე არ უნდა შევხედოთ, იგი არის როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური თვისებების მატარებელი დანაშაული და მისი პრევენციის გზების ძიება ფართო სპექტრს მოიცავს. მისი, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოყენება აქტიურად ხდებოდა ჩვენს ახლო წარსულშიც, კერძოდ პენიტენციურ დაწესებულებებში.

აღნიშნული დანაშაულის უკეთ აღსაქმელად, განვიხილავ მის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს, ხოლო შემდეგ ამ ქმედების დამამძიმებელ გარემოებებს.

[20]წამების ყველაზე გავრცელებული ფორმები, http://intermedia.ge/სტატია/46733, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

2.2 წამების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე ადამიანის ნების გარეგანი აქტია, რომელიც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე ზემოქმედების პროცესისა და შედეგის იურიდიულ ნიშნებში გამოიხატება.[21] დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ან შეიძლება მიადგეს ზიანი.[22]

დანაშაულის ობიექტად უნდა ვცნოთ ის სიკეთე, ინტერესი, რომელსაც ხელყოფს დანაშაულებრივი მოქმედება და რომელიც დაცულია სისხლის სამართლის კანონით. მაგრამ ამათუიმ სიკეთის თუ ინტერესის აღიარება დანაშაულის ობიექტად ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ის წარმოადგენს სისხლის სამართლის ობიექტს, ძალიან ხშირად ასეთი ობიექტები სხვადასხვა დარგის სამართლითაც არიან დაცულნი. მაგალითად, საკუთრებითი ურთიერთობა დაცულია, რეგულირებულია, პირველ რიგში, სამოქალაქო სამართლის ნორმებით. სისხლის სამართალი ასეთი ობიექტების დაცვას კისრულობს სისხლის სამართლის საშიში ხელყოფის შემთხვევაში (ქურდობის, ყაჩაღობის და სხვა დანაშაულთა ჩადენის დროს). დანაშაულის ობიექტის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალეული ქმედების კვალიფიკაციისათვის.[23]

---

[21]ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 250;

[22]ტყეშელიაძე. გ და სხვები,(ავტორთა კოლექტივი),სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო,თბ., 2007, გვ. 110;

[23]მუავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2005, გვ. 105-106.

ქმედების შემადგენლობა დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულების მიხედვით ქმედების ობიექტური და ქმედების სუბიექტური მხარისაგან შედგება. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე კი შემდეგ ნიშნებს მოიცავს:

1. სისხლის სამართლის სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება, ანუ მოქმედება და უმოქმედობა;
2. ქმედებით გამოწვეული შედეგი;
3. მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის;
4. შედეგის ობიექტური შერაცხვა.

ქმედების შემადგენლობის დამფუძნებელი ნიშანი თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში ადამიანის ქმედებაა. ქმედების გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს. სისხლისსამართ-ლებრივი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის ქცევისაგან დამოუკიდებელ ბუნების მოვლენებსა და ცხოველთა მიერ გამოწვეულ ზიანს.[24]ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნების ზუსტად დადგენასქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქმედების ე.წ. მატერიალური შემადგენლობა, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების მატერიალურ შედეგში ვლინ-დება.[25]ქმედების შემადგენლობის ობიექტურ (გარეგან) ნიშნებს ისეთი გარემოებებს უწოდებენ, რომლებიც ქმედების გარესამყაროში გამოვლინებად სახეს განსაზღვრავენ, ისინი შესაძლოა აღწერილობითი ან ნორმატიული, ქმედების ან დამნაშავის თანმდევი ხასიათის იყვნენ.[26]

დამნაშავის ზრახვებისა და მიზნების, დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმია დანაშაულის ობიექტური მხარე. სწორედ ამის გამო სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან სასამართლო განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ადგენენ დანაშაულის ობიექტურ მხარეს, ხოლო დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნების დაუდგენლად არ წარმოიშობა სუბიექტური მხარის

---

[24]ტყეშელიაძე. გ და სხვები,(ავტორთა კოლექტივი),სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016, გვ. 124;

[25] ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 251;

[26] ვესელსი ი., ბოილკე. ვ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2010, გვ. 72;

საკითხი, რადგან მეორე არ არსებობს პირველის გარეშე. დანაშაულის ობიექტური მხარე მტკიცე საფუძველს ქმნის თვითნებობისა და სუბიექტურობის აღსაკვეთად საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების საქმიანობაში.[27]

წამებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური თვალსაზრისით, ასევე ადამიანის ნორმალური (გაწონასწორებული) ფსიქიკური მდგომარეობა. დანაშაულის დამატებითი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის პირად, ოჯახურ თუ სხვაგვარი საიდუმლოების დაცვასთან, წამების დამატებითი ობიექტია ასევე ადამიანთა თანასწორუფლებიანობა რასის, ეროვნების თუ სხვა ნიშნის მიხედვით.[28] სსკ-ის 144[1] მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთა ადამიანის ღირსება, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ქმედების შემადგენლობაში ობიექტის ცნება ფართოდ არის ჩამოყალიბებული. წამება შეიძლება მიმართული იყოს, როგორც ერთი კონკრეტული პირის (მაგ. მისი დასჯის მიზნით), ასევე ამ პირის ახლო ნათესავის მიმართ. ქმედება შეიძლება განხორციელდეს მოქმედებითაც და უმოქმედობითაც. იგივე საკვების მიუცემლობა უმოქმედობის ერთ-ერთი მაგალითია. ქმედება, ნორმის თანახმად, გამოიხატება მსხვერპლისათვის ისეთი პირობების შექმნით ან მოპყრობით, რომელიც თავისი ინტენსივობით იწვევს ფიზიკურ, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.[29] შეიძლება ითქვას, რომ ამ ნიშნების ერთმანეთისგან გამიჯვნა ძალზე რთულია: პირველში შეგვიძლია ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქიკური ტანჯვა ადამიანში იწვევს გარკვეულ ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ ცვლილებებს, ხოლო მორალური ტანჯვის დროს ასეთი ცვლილებები არ მიმდინარეობს. იგი ასეთ დროს

---

[27]ტყეშელიაძე. გ და სხვები,(ავტორთა კოლექტივი),სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ, 2007, გვ. 115.

[28] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, თბ., 2016, გვ. 288;

[29] ჯიშკარიანი ბ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 213;

უფრო მეტად იწვევს ადამიანში საკუთარი ღირსების შელახვას და არასრულფასოვნების კომპლექსს.[30]

,,ამიტომ, წამება ობიექტური მხრივ შესაძლოა, გამოვლინდეს ორგვარად: მყისიერი ქმედებით (მაგ: ფრჩხილის უეცარი ამოძრობა) და დროში გაწელილი ქმედებით (მაგ: ფეხის გულებში წვეტიანი საგნის ჩხვლეტა გარკვეული დროის განმავლობაში)''.[31] წამების დროს როგორც ფიზიკური ტკივილი, ისე ფსიქიკური და მორალური ტანჯვა უნდა გამოირჩეოდეს თავისი ხასიათით, ხანგრძლივობითა და ინტენსივობით. წამების ხასიათში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ქმედება ერთჯერადად ჩადენის შემთხვევაშიც, იწვევს 144[1] მუხლში მითითებული შედეგებიდან ერთ-ერთს.[32] აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული ნიშნით წამება გარკვეულწილად ჰგავს არაადამიანურ მოპყრობას 144[3] მუხლს, რომლის ობიექტური ნიშანი თითქმის ემთხვევა წამების ობიექტურ ნიშანს, ამიტომ მათი ერთმანეთისგან ბოლომდე გამიჯვნა, თითქმის შეუძლებელია.ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,,Tomazi v. Fance'' განმარტა, რომ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავება ძირითადად მიყენებულ ტკივილსა და ტანჯვის ხარისხში გამოიხატება. წამებასთნ შედარებით აღნიშნულის ზღვარი უფრო დაბალია და არ გააჩნია ზიანის ის ხარისხი, რაც მოეთხოვება მოპყრობის წამებად კვალიფიკაციისათვის.[33]

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ისევე როგორც ქართული სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე შეუძლებელია წამების უნიკალური მეთოდის გამოყვანა, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა ცალკეული შემთხვევების ერთ ჩარჩოში მოქცევა.[34] ამის ნათლი მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

---

[30]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 199-200;

[31] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, თბ., 2016, გვ. 288-289;

[32]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,თბ., 2008, გვ. 20.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი, 2004, გვ. 150;

[34]Bank,(კომენტარებში)Dorr/Grote/Marauhn,EMRK/GG, kap. 11 Rn. 16;

განსახილველი დანაშაულის ქმედება ბუნდოვანი სიტყვებითაა აღწერილი 144[1] მუხლის დისპოზიციაში. ,,ესაა ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს...''. როგორც ჩანს, კანონმდებელმა წამების ობიექტური მხარის განსაზღვრისას გამოიყენა ე.წ. კაუჩუკის პრინციპი, რადგანაც ,,პირობების შექმნასა'' და ,,მოპყრობაში'' კონკრეტული ქმედება არაა ხაზგასმული და სასამართლოს გადაწყვეტილების უკეთ მიღებისათვის მეტ გასაქანს აძლევს.[35] აღნიშნული კი ძალიან ემსგავსება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ამ ორ საკითხს შორის მსგავსების უკეთ აღსაქმელად, მოვიყვან შემდეგ მაგალითს, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში განხორციელდა:

,,პატიმრობაში მყოფი პირების გაუპატიურება მოხელეების მხრიდან; ე.წ. ,,პალესტინური დაკიდება''(დაკავებულ პირს ხელებს ზურგს უკან უკრავდნენ და ამ შეკრული ხელებით მაღლა სწევდნენ თოკით, რასაც მსხვერპლის დაინვალიდება მოჰყვა); ფეხისა და ხელების ყველა ფრჩხილის დაძრობა; ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მიერ გამოყენებული დაკითხვის მეთოდები - ე.წ. ,,waterboarding'' ძალით გაპარსვა და გაშიშვლება; დაძინების საშუალების არ მიცემა 72 საათის განმავლობაში და ა.შ.''.[36]

აღნიშნული მაგალითზე დაყრდნობით, ურიგო არ იქნებოდა თუ ქართული სასამართლო სისტემა მსგავს მეთოდებს უფრო ხშირად გაიზიარებდა და საქმეებზე არა მარტო ერთგვაროვან გადაწყვეტილებებს არამედ პრეცენდენტულსაც მიიღებდა, რაც უკეთესი იქნებოდა სასამართლო მართმსაჯულების უკეთ განსახორციელებლად. რაც შეეხება მსგავსებას ,,პატიმრობაში მყოფი პირების გაუპატიურება მოხელეების მხრიდან'', პირდაპირ, ხაზგასმით გვახსენებს ჩვენს ახლო წარსულში განვითარებულ შემზარავ მოვლენებს, რასაც მეორე თავის დასაწყისში წამების მიმოხილვისას შევეხე, კერძოდ: პატიმართა პენიტენციურ დაწესებულებებში

[35] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016 გვ. 288;

[36]Grabenwarter/Pabel,EMRK, & 20 Rn. 42.

წამებაზე, რომელთა ხშირი შემთხვევები გლდანის, ორთაჭალისა და ქსნის ციხეებს უკავშირდება. ამთვალსაზრისით პირველები გლდანის, ორთაჭალის, ქსნის, გეგუთისა დარუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებებია. გამოკითხულ მსჯავრდებულთა 55,1% აცხადებს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა ყველაზე ხშირად გლდანის დაწესებულებაში ხდებოდა, 14,1%-ისთქმით - ორთაჭალისციხეში, 13% და 11,2% ქსნისა და გეგუთის ციხე სასახელებს, ხოლო 10,1% - რუსთავის #16 დაწესებულებას.

რაც შეეხება პატიმართა მიმართ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ წამებას, ასეთ ემთხვევებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თვალსაზრისით ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ფიზიკური წამების შემთხვევაში.[37]

წლების განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველი, ისევე როგორც უფლებადამცველები, მრავალი არასამთავრებო თუ საერთაშორისო ორგანიზაცია, მიუთითებდა საქართველოს ხელისუფლებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმართა მძიმე ყოფაზე, პრობლემებზე, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. ფონდ "ღიასაზოგადოებასაქართველოს" მიერგამოცემულიმასშტაბური კვლევის თანახმად გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა (50-85%) აცხადებს, რომ მათ შეემთხვათწამებისადაარაადამიანურიმოპყრობისფაქტები, რესპოდენტთა 75,4% აცხადებდა, რომმათფიზიკურადაწამებდნენ, ხოლო 84,2% კიმიუთითებს, რომ ისინი იყვნენ ფსიქიკური წამების მსხვერპლნი. ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში დაფიქსირდა, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების ფაქტები არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე კონკრეტული სასჯელაღსრულებითი ან სხვა დაწესებულების პრაქტიკის ნაწილს, არამედ გავრცელებული იყო საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა თუ სტრუქტურებში. სახალხოდამცველის ანგარიშებში ხაზგასმით ხდებოდა მითითება

[37]წამების ყველაზე ხშირი ფაქტები, http://liberali.ge/news/view/12975/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მიმართ სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებზე.[38]

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნაში ასახულია, 2004–2012 წლებში ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ კონკრეტული ფაქტები, რასაც ქვემოთ წარმოვადგენ:

მ.გ.

,,ციხეში ყოფნის დროს მაწამებდნენ. სხვადასხვა პერიოდში, დამაძრეს ფრჩხილები, დამიზიანეს თავისქალა, დამიმტვრიეს ფეხის ძვლები, ჩამიმტვრიეს ნეკნები, გამიტეხეს ცხვირი, ჩამიმტვრიეს კბილები. ვარ 43 წლის, მაგრამ გამოვიყურები მოხუცივით. სიარულის დროს ხან სად ვიქცევი და ხან სად. ციხეში მძიმედ დავსნეულდი, კერძოდ მაქვს ჰემორიდიალური დაავადება და I კატეგორიის არტერიული ჰიპერტენზია.

#8 დაწესებულებაში ყოფნის დროს ცემისა დაწამების გარდა, ციხის თანამშრომლების თანდასწრებით მაძლევდნენ საძილე წამლებს, რომლის ზემოქმედების დროსაც მაწერინებდნენ ჩვენებას ჩემი საქმის ირგვლივ. ''[39]

გოჩა, 50 წლის.

,,მე ვლოცულობდი. აღარც მახსოვს რას ვლოცულობდი, იმიტო, რომ მე ლოცვებისა და ეგეთების არაფერი ვიცოდი მაშინ. ეგ სულ ტყუილია, რო ამბობენ თავში არ ურტყამენო, თავშიც მირტყამდნენ და ქალაც გამიტეხეს, ბოლოს კიდე ქალაქ გარეთ დამაგდეს, იმიტო რო მკვდარი ვეგონეთ. დერეფანში რო მიმათრევდნენ, უკვე გულწასულს, გადასაგდებად ჩემი თავი დავინახე და მაშინ კი მეგონა რო ნაღდი გავრეკე. თავდაყირაც ვეკიდე მანამდე და ზედაც მახტებოდნენ. ზედ იმიტო რო ხელები დაეღალათ. ხელებიც და ფეხებიც, იმდენი მირტყეს. ერთი უფრო სუსტი ბიჭი იყო, მეორე დიდი და მსუქანი. უფროსი შემოვიდა: ,,აკმარეთ, ცოდოაო'', მაგრამ ეგენი ვეღარ ჩერდებოდნენ უკვე... ორი დღე ვიყავი იქ და სანამ

[38]პატიმართა წამების შემთხვევათა გამოძიება, https://idfi.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[39]საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისდასკვნა, თბ., 2016, გვ. 25;

გადამაგდებდნენ, ყველაფერი გამოვცადე: ჩამოკიდებაც და დენიც. ელექტროშოკს რო ეძახიან, ეგ კარგიც იყო, იმიტო რო გთიშავდა. ის მეორეა, აი რო ატრიალებენ, საშინელება. ეგ ტკივილი აღარ არი, ეგ არის სასწაული, მაგას სახელიც არა აქვს და აღწერაც არ შეიძლება. თუ გამოცდილი არა გაქვს, მაინც ვერ მიხვდები. ორი დღე ვიყავი და ნასპორცმენალი კაცი ინვალიდი გამხადეს...ლოცვა კი, ლოცვა ნაღდი მშველოდა. სად წავიდა, ნეტა ის ლოცვა, იმის მერე ვეღარა ვლოცულობ, თუმცა ეკლესიაში კი დავიწყე სიარული. იმიტო, რომ რამდენი ლოცვას დავაპირებ, ის ყველაფერი მახსენდება და ლამის გული გასკდეს''.[40]

ი. კ.

,,2007 წლის 11 დეკემბერს, კამერაში შემოვიდნენთ.მ, ვ. ყ., . . შ.. და ქსნის კოლონიაში ადრე ნამუშევარი რ..., რომლის გვარიც აღარმახსოვს და ასევე სხვა თანამშრომლები. ამ ადამიანებმა სასტიკად მცემეს. ცემის მიზეზი იყო ჩემი უარი პროკურატურის მიმართ საპროცესო შეთანხმებაზე. მას შემდეგ, რაც ვუთხარი, რომ არვაპირებდი "გამეპრავებინა" პროკურატურა ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხელი დამარტყა, სხვებიც აყვნენ... დამაგდეს იატაკზე და შემდგნენ წიხლებით. ცემის დროს გამებზარა ნეკნი და მივიღე სხეულის მრავალი დაჟეჟილობა, ასევე, რადიატორზე მარტყმევინეს თავი, რის შედეგადაც თავი გამიტყდა და დავკარგე გონება. გონებაზე მოსვლის შემდგომ მკითხეს: ახლა რა აზრზეხარო, აკეთებ საპროცესოსო? მე ექიმი მოვითხოვე, მოთხოვნა არმქონდა დასრულებული, რომ წიხლი მომხვდა და გაისმა გინება ჩემი მისამართით. ამის შემდეგ, ორსართულიან საწოლის კიბეზე მიმადებინეს ხელი და ფეხით მაჯა გადამიტეხეს. მიმაგდეს და გავიდნენ. ვითხოვდი მკურნალობას და ტკივილგამაყუჩებელ წამალს. ტკივილი იმდენად აუტანელი იყო, რომ ორჯერ ვცადე თვითმკვლელობა, მაგრამ თანასაკნელებმა შემიშალეს ხელი. ცემის შედეგად მივიღე ტრავმა თავისა და ხელის არეში; ფილტვის დაჟეჟილობა, რის შემდეგაც

[40]როგორ ავიცილოთ თავიდან წამება, რეკომენდაციები და სამართლებრივი ნორმები წამების მსხვერპლთათვის, თბ., 2004, გვ. 77–78.

ფილტვში ჩამიდგა წყალი და გადამიყვანეს ტუბერკულიოზის სამკურნალო დაწესებულებაში.''[41]

აღსანიშნავია ისიც, რომ სტრასბურგის სასამართლომ საქართველოში 2012 წლამდე მომხდარი ფაქტების გამო, მომჩივნების სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალვის დარღვევა დაადგინა, 2018 წლის 20 დეკემბერს სტრასბურგის სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა და საქმეზე – ,,კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ'', წამების აკრძალვის დარღვევა დაადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

საქმეში – ,,კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ'' ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე–3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა მომჩივნის ოფთალმოლოგიური პრობლემების არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2006–2008 წლებში.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მომჩივნის (კატარაქტა) მკურნალობა. საქმეზე სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 4.500 ევროს გადახდა დაეკისრა, – აღნიშნულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.[42]

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის ოქტომბრამდე ჩადენილ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სხვა ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით, 2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 191 სისხლის სამართლის საქმეზე; ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 124 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის ისეთი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ, როგორებიც არიან: შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი, სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, სპეციალური

[41]საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა, თბ., 2016 გვ. 26;

[42]სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, https://1tv.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი. მოცემული საქმეებიდან, სასამართლოში განსახილველად წარიმართა 119 პირის მიმართ 40 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 81 პირის მიმართ 23 სისხლის სამართლის საქმეზე.[43]

როგორც უკვე ითქვა, იმისთვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს წამებად,ინტენსივობის გარკვეული ხარისხი უნდა იყოს მიღწეული. ამის გამიჯვნა ზოგჯერ სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაშიც კი რთულია.[44] ეს ნათლად ჩანს შემდეგ შემთხვევაში: ,,Castello-Roberts გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ- 7 წლის ბიჭმა, ბრიტანეთის ერთ-ერთ კერძო სკოლაში, ადმინისტრაციის აზრით, დაარღვია ქცევის წესები და ამის გამო მას დირექტორმა თავის ოთახში, ტანსაცმლის გაუხდელად, საჯდომზე სამჯერ დაარტყა სპორტული ფეხსაცმელი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ეს არ ყოფილა იმ ინტენსივობის ზემოქმედება მსხვერპლზე, რომ ის შეფასებულიყო როგორც წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.[45]

[43]საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა, თბ., 2016, გვ. 35;

[44] ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016 გვ. 214;

[45]https://www.asylumlawdatabase.eu Castello-Roberts v. the United Kingdom, Application no. 13134/87.

2.3 წამების სუბიექტური შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებული ამსრულებლის ნების ხასიათის მიხედვით, ნების სფეროში ქმედების შემადგენლობის, განზრახვის გამოვლინების,სამი ფორმა უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან: გამიზვნა, პირდაპირი განზრახვა და ევენტუალური განზრახვა.

გამიზვნასთან (როგორც პირდაპირი განზრახვის გაძლიერებულ ფორმასთან) მაშინ გვაქვს საქმე, როცა ამსრულებელი ცდილობს, სწორედ ქმედების შემადგენლობაში მოცემული შედეგის დადგომა უზრუნველყოს ან ისეთი გარემოება შექმნას, რომლისთვისაც კანონი განზრახი ქმედების პირობას აწესებს. ტერმინი გამიზვნა მიზნისკენ მიმართულ, შედეგის დადგომის ნებას აღნიშნავს, რომელიც ქმდების მამოძრავებელ მიზეზადაც გვევლინება, თუმცა ეს ორი კატეგორია ყოველთვის იდენტური არაა.[46]

დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე ნორმით აკრძალული ქმედება, ჩადენილი აუცილებლად ბრალეული ფორმით, განზრახვა არის დამნაშავის ფსიქიკურად შეგნებული დამოკიდებულება ქმედებასთან და მის შედეგთან, ე.ი. დამნაშავე გააზრებულად, თავისი ნებით ჩადის დანაშაულს და ასევე გააზრებულად ითვალისწინებს დამდგარ შედეგს და სურს ეს. განზრახვა პირდაპირია მაშინ, როცა დამნაშავე აცნობიერებს თავის ქმედებას, იცის, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოა, ითვალისიწნებს ასევე მოსალოდნელ შედეგს და სურს იგი. ასევე ის დარწმუნებულია ამ ქშედეგის გარდაუვალობაში.[47]

,,პირდაპირი განზრახვის ნებელობითი მომენტი ხასიათდება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების სურვლით. შედეგისადმი ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შედეგის განხორციელება სუბიექტის უშუალო მიზანს წარმოადგენს. მაგ., იგი შურისძიების მოტივით ცეცხლს წაუკიდებს მტრის სახლს.''[48]

---

[46] ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2010, გვ. 122;

[47] მუავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2005, გვ. 148;

[48]ტყეშელიაძე გ. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ, 2007, გვ. 131;

მოკლედ, რომ ვთქვათ, ,,განზრახვა არის გადაწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ-ნაკლების სიცხადით, თუ სად რა უნდა გააკეთოს.''[49]

მოვიყვან პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულის მაგალითს, იმის გამო, რომ გეგა მინდიკაურმა სამართლებრივი გზით ვერ მიაღწია მისი მამით ობოლო ძმისშვილის ნათიას გაუპატიურების საქმეზე სამართლის აღსრულებას (მოძალადის მამამ, მოწმეები ფულის მიცემით მოისყიდა), გადაწყვიტა მათი ორსართულიანი სახლის გადაწვა. ქმედების განხორციელებამდე გაახსენდა, რომ სახლში მოხუცი ქალი ლოგინად იყო ჩავარდნილი, რომელიც ხანძრიდან ვერ გამოაღწევდა. გეგა დაფიქრდა, მას არ სურდა მოხუცი ქალის ასეთი სისასტიკით და წამებით სიკვდილი, მაგრამ, მას გაახსენდა მოწმეების მოსყიდვის ფაქტი და საქმის მიჩქმალვა, შურისძიების გრძნობამ იგი დააბრმავა და სახლს ცეცხლი წაუკიდა. ხანძრისას მოხუცი ქალიც დაიღუპა.[50] აღნიშნული ქმედება ჩადენილია პირდაპირი განზრახვით.

რაც შეეხება, ევენტუალურ განზრახვას, მაშინაა სახეზე, როდესაც ამსრულებელი სრულიად შესაძლებლად მიიჩნევს თავისი ქმედებით კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას და ურიგდება მას.ამრიგად ამსრულებელს გაცნობიერებული აქვს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებლი შედეგის, დადგომა, რომელიც მოსალოდნელია და მას მოსწონს ეს. მხარდამჭერი მოწონება გამომჟღავნებულად მაშინ ჩაითვლება, თუ ამსრულებელი თვალსაჩინო საფრთხის მიუხედავად, მაინც შეასრულებს საკუთარ ჩანაფიქრს ისე, რომ მოვლენების ბედნიერი განვითარებით თავის დაიმედების საფუძველი არ ექნება და მხოლოდ შემთხვევას მიანდობს მის მიერ შეცნობილი საფრთხის განხორციელების ან განუხორციელებლობის საკითხის გადაწყვეტას.[51]

---

[49]ყვავილაშვილი ლ., განწყობა და ნებისმიერი ქცევა, ,,მაცნე'', ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია თბ., 1992, #1, გვ. 43;

[50]ტყეშელიაძე გ. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016, გვ. 239-240;

[51] ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2010, გვ. 124-127;

პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვებს შორის სხვაობა მდგომარეობს საშიში შედეგის მოსალოდნელობის ხარისხში. არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს პირს არ სურს კონკრეტული შედეგის დადგომა, მაგრამ შეგნებულად უშვებს მას. ამრიგად, ამ ორ იურიდიულ ცნებაში, გადახლართულია ორი დანაშაულებრივი შედეგი, პირველი, რომელიც ნებით, შეგნებულად გათვალა დამნაშავემ და სურს მისი დადგომა და მეორე, რომელიც შემთხვევით სდევს თან ძირითადი სურვილის განხორციელებას, არ სურს მისი დადგომა, მაგრამ უშვებს მას, ანუ სასურველი შედეგი მსხვერპლად ეწირება ძირითადი მიზნის განხორციელებას.[52]

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში ასევე შედის, სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი და არა ბრალი, რომელიც შემადგენლობის ფარგლებს გარეთ იაზრება.[53]

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშნები, როგორც უმართლობის ელემენტები, ყველაზე ხშირად იმ ე.წ. მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში მოიპოვება, რომლის დროსაც ქმედების შემადგენლობის განმახორციელებელ ქმედებას, ,,შინაგანი წარმმართველი ძალის'' სახით შედეგზე ან მიზანზე სრული წარმოდგენა ახლავს თან.[54] სამწუხაროდ, მოტივისა და მიზნის ფსიქოლოგიური ბუნება იშვიათად არ მახინჯდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამართალში საქმე ეხება ქმედების შეფასებას, ქცევის მოტივისა და მიზნის გათვალისწინებით, ხოლო ეს ქმნის ყალბ წარმოდგენას, რომ მოტივისა და მიზნის ფსიქოლოგიური ცნებების გვერდით უნდა ჩამოვაყალიბოთ მათი ნორმატიული ცნებები. მოტივის დუალისტური გაგება საკმაოდ იყო გავრცელებული. მაგ., ბ. ვოლკოვი არ უარყოფდა მოტივის ფსქოლოგიურ ცნებას, მაგრამ ამავე დროს მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნების ჩამოყალიბებასაც მოითხოვდა.[55] მისი მტკიცებით, ,,მოტივის ფსიქოლოგიური და სისხლისსამართლებრივი გაგების ურთიერთობის დიალექტიკა ძალიან

[52] მუავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2005, გვ. 152-153;
[53] ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 285;
[54]ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2010, გვ. 73;
[55]ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 286.

მარტივია, ის გამოხატავს თანაფარდობას ზოგადისა და კერძოს, გვარსა და სახეს შორის.''[56]

მოტივი და მიზანი, როგორც ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური მხარის ორი არსებითი ელემენტი, დანაშაულებრივი ქმედების ფსიქიკურ აზრს გამოხატავენ და ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საქმეში ერთ–ერთ არსებით კრიტერიუმს წარმოადგენენ. ცხადია, მოტივი და მიზანი ლოგიკურ კავშირშია ბრალის ფორმებთან. ბრალი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტი ვერ იქნება, რადგან ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ქმედების მართლწინააღმდეგობა არ შედის, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე სუბიექტის ბრალი არ არსებობს. ამდენად, ბრალის პრობლემის განხილვას წინ უნდა უსწრებდეს ქმედების მართლწინააღმდეგობის პრობლემის თუნდაც მოკლე ანალიზი.[57]

სისხლის სამართალი ადგენს დანაშაულის სუბიექტის აუცილებელ და ფაკულტატურ ნიშნებს. აუცილებელი ნიშნებით ხასიათდება ნებისმიერი პირი, რომელიც ცნობილია დანაშაულის სუბიექტად (ამსრულებელი ან მონაწილე), იგი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, ადამიანი, მიღწეული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, შერაცხადი თავისი ფსიქიკური მდგომარეობით. ამ ნიშნებს საერთოსაც უწოდებენ, რადგან თუ მათგან რომელიმე გამოაკლდა, ფაქტიურად, დანაშაულის სუბიექტი არ არსებობს და ბუნებრივია, არც დანაშაულის შემადგენლობა იქნება. დანაშაულის ფაკულტატური ნიშნებია, ის რომელიც სპეციალურად არის მითითებული სისხლის სამართლის კანონში. ისინი წარმოადგენს საფუძველს, რათა გამოიყოს დანაშაულის სპეციალური სუბიექტი. ამასთანავე, ეს ნიშნები შეიძლება სუბიექტის მოქალაქეობრივი დამახასიათებელი ნიშნებიც იყოს: სქესი, ოჯახურიმდგომარეობა, თანამდებობა, საზოგადოებრივი

[56]ВБ. С. Волковб Проблема воли и уголовная ответственность, казань, 1965, ст. 57.

[57]ტყეშელიაძე გ. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016, გვ. 140;

მდგომარეობა და სხვა, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის სტატუსს საზოგადოებაში.[58]

დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე მოიცავს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის და დანაშაულის შემადგენლობის (თუ შემადგენლობა შედეგს მოიცავს, მაშინ დანაშაულებრივი შედეგის) განხორციელებისაკენ მიმართულ განზრახვას. მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე შესაბამის მიზანსაც უნდა მოიცავდეს. დანაშაულის მომზადების დროს მოქმედებს სიმულტანობის პრინციპი, ე.ი. დანაშაულის ჩადენის განზრახვა უნდა არსებობდეს მოსამზადებელი მოქმედების განხორციელების დროს და არა მის წინ ან მას შემდეგ.[59]

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადება შეუძლებელია, რადგან წარმოუდგენელია, ადამიანმა დანაშაულის ჩასადენად პირობები მოამზადოს, თუ მას შედეგის დადგომა არ სურს. დანაშაულის ჩადენის განზრახვა, როგორც დანაშაულის მომზადების სუბიექტური ელემენტი, კონკრეტული უნდა იყოს და დამთავრებული დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებს მოიცავდეს. დანაშაულის მომზადების განზრახვა, დროის ფაქტორის მიხედვით, წინასწარ მოფიქრებული განზრახვა უნდა იყოს.[60]

ცნობილია, რომ ადამიანის ქცევა ფორმულირდება და ყალიბდება არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით, არამედ აქტიური მონაწილეობით მის შემეცნებაში. ნებელობითი ქცევა მოწმობს იმას, რომ პიროვნებას აქვს უნარი, შეიმეცნოს თავისი ქცევა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თუ პირს დანაშაულის ჩადენის დროს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების ფაქტიური მხარე და საშიშროება, ის შერაცხადია, რაც უპირველეს ყოვლისა ხასიათდება პიროვნების სოციალურ–ფსიქოლოგიური მონაცემებით. შერაცხადობა არის პირის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება მის სოციალურ–ფსიქოლოგიურ დონესა, ასაკსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაში, ანგარიში გაუწიოს თავის

[58] მუავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2005, გვ.116;
[59] მჭედლიშვილი–ჰეინდრიხი ქ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, თბ., 2011, გვ. 33;
[60] იქვე, გვ. 34;

მოქმედებას თუ უმოქმედობას, უხელმძღვანელოს მას დანაშაულის ჩადენის მომენტში და გაიაზროს ქმედებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და სასჯელი.[61]

,,წამება სუბიექტური თვალსაზრისით პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს 144[1] მუხლში ჩამოთვლილთაგან ერთ–ერთი მიზანი: ინფორმაციის ან მტკიცებულების მიღება, დაშინება, იძულება და ა.შ. გარდა ამისა, დამნაშავეს უნდა სურდეს, რომ მსხვერპლს ამ გზით თავი არარაობად აგრძნობინოს. ამ დამატებითი ნიშნის გარეშე გაგვიჭირდება განსაკუთერებული სისასტიკით ჩადენილი სხვა დანაშაულისგან წამების გამიჯვნა, ვინაიდან იქაც გვხვდება მსხვერპლის დასჯის მიზანი (მაგ: ა კლავს ბ–ს განსაკუთრებული სისასტიკით შურისძიების გამო).[62]''

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური (შინაგანი) ნიშნები ისეთი გარემოებებია, რომლებიც ამსრულებლის ფსიქიკურ–სულიერი სფეროსა და მის წარმოდგენათა სამყაროს განეკუთვნებიან. საკითხი, ეს ნიშნები ქცევის უმართლობის შინაარსს განსაზღვრავენ თუ მხოლოდ ბრალის შინაარსს აყალიბებენ, სადავოა. თანამედროვე მოძღვრებების მიხედვით, უმართლობის შემადგენლობას ქმედების შემადგენლობის ყველა ის სუბიექტური ელემენტი უნდა მივათვალოთ, რომლებიც ქცევის უღირსობას ახასიათებენ და უფრო დეტალურად აღგვიწერენ დამაზიანებელი ან საფრთხის შემქმნელი ქმედებების განსაკუთრებულ ფორმასა და სახეს.[63]

წამების სუბიექტური მხარე განზრახ დანაშაულს გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირის ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია 144[1]–ე მუხლში მითითებული შედეგი, აღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია.[64] ამაზე პირდაპირ უთითებს ნორმის დისპოზიცია, სადაც ხაზგასმულია, რომ წამების

---

[61]მჟავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2005, გვ. 119–120;

[62] ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016 გვ. 215–216;

[63]Maurach/Zipf, AT/1 §20 Rn 4 ff: S/S-Lenckner/Eisele, Vorbem. §§13 ff Rn 52 ff;

[64]ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 292;

ობლიგატორული ნიშანია სპეციალური მიზანი. მიზნით კვალიფიცირებული დელიქტი კი, არ შეიძლება იყოს გაუფრთხილებელი.[65]

,,წამებისას დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს პირის იძულება. კერძოდ, დაზარალებულის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება''. აღნიშნული იმით განსხვავდება 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან, რომ ამ შემთხვევაში არ დგება სახეზე ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან მორალური თუ ფსიქიკური ტანჯვა. 144[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას, დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს პირის დასჯაც, მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, ეს კი ცალსახად შურისძიებისა და ეჭვიანობის მოტივია. მესამე პირი შეიძლება იყოს ოჯახის წევრი ან ახლობელი. მაგალითად: ცოლს აწამებენ ქმრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის, რადგან თავად ქმრის ადგილსამყოფელი უცნობია.[66]

თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ 1984 წლის საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი და სსკ-ის 144[1]-ე მუხლის დისპოზიცია ფაქტობრივად ერთი და იგივე შინაარსს მოიცავს. რაც შეეხება 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თვისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლს, ის საერთოდ არ ახდენს წამების ზუსტ განსაზღვრებას და მხოლოდ მის აკრძალვაზე მიუთითებს. ზემოხსენებული მუხლიდან გამომდინარე, გამოვყოფთ ,,წამების'' სამ მნიშვნელოვან ელემენტს:

1. ძლიერი ფიზიკური ტკივილის, ფსიქიკური ან მორალური ტანჯვის მიყენება;
2. ტკივილის ან ტანჯვის მიზანმიმართულად და განზრახ მიყენება;
3. ცალკეული მიზნის მიღწევის სურვილი (როგორიცაა ინფორმაციის, აღიარების მიღება, დასჯა ან დაშინება).

პირველი პუნქტი, ეს არის წამების ობიექტური ნიშანი, ხოლო დანარჩენი ელემენტები წამების სუბიექტურ ნიშანს მიეკუთვნებიან. ამ დანაშაულის

[65]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 201–202;

[66]ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 292;

კვალიფიკაციისათვის კი მნიშვნელოვანია, კუმულაციურად არსებობდეს სამივე ელემენტი.[67]

წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა ან ღირსების შემლახავი სასჯელის გამოყენება აბსოლუტურ აკრძალვას ექვემდებარება. არ არსებობს წამების გამამართლებებელი რაიმე გარემოება, გარდა ასაკისა და შეურაცხადობისა.[68]

კაზუსი სასამართლო პრაქტიკიდან: ,,საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს ბრალი დაედო სამხედრო პირების წამების ორგანიზებაში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით(სსკ მუხ.25, 144[1], ნაწ. 2, ქვეპ. ,,ბ'', ,,დ''), რაც ბრალდების არსიდან გამომდინარე გამოიხატა იმაში, რომ სამუშაო ოთახში ჯარისკაცებს, რომლებიც არ დაემორჩილნენ მეთაურის ბრძანებას, აგინა, ბოთლი ესროლა და სამი დღის განმავლობაში აბაზანაში გამოაკეტინა გაუსაძლის პირობებში, სადაც გათბობა გამორთული იყო (საუბარია თებერვლის თვეზე). ყველაფერ ამან ჯარისკაცების ფსიქიკური და მორალური ტანჯვა გამოიწვია.''[69]

კოლიზიის მეტი პოტენციალი არის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობასა და წამებას შორის. იგივე ითქმის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაზეც. საქმე იმაშია, რომ სიტყვა ,,სისასტიკე'' ისედაც აღმატებულ ხარისხს გულისხმობს. ქართველი კანონმდებელი ამით არ დაკმაყოფილდა და 109-ე და 117-ე მუხლებში მას წინ ,,განსაკუთრებული'' დაუმატა, ამით გამოიხატა სისასტიკის კიდევ უფრო აღმატებული ხარისხი, რაც ობიექტურად წამებას უთანაბრდება და შეიძლება ითქვას არავითარი განსხვავება არ რჩება. აქედან კი ერთადერთი გამოსავალი სუბიექტური შემადგენლობის მიჯნის დადგენაა. კერძოდ წამებისას ადგილი აქვს დამნაშავის მხრიდან ყველაფერთან ერთად მსხვერპლის ნების გატეხვისა და მისი

[67]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 197;

[68]ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016 გვ. 217;

[69]საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომ. 2 კ-12აპ.-14.

მხრიდან თვითშეფასების დაკარგვის მიღწევის მიზანს. მას უბრალოდ ,,წამება'' კი არ სურს, არამედ უნდა მსხვერპლს დაანახოს თავისი უსუსურობა და არაღირებულება.[70]

შესაბამისად, თუ წამების დროს პირი უშვებს მსხვერპლის სიკვდილს, მაშინ ის უნდა დაისაჯოს, როგორც წამების, ასევე განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მუხლების ერთობლიობით. ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ტექსტობრივი წყობის თავისებურებიდან გამომდინარე ალტერნატივას არ გვთავაზობს.[71]

2.4 წამების მაკვალიფიცირებელი გარემოებები

რადგან, ,,წამების'' როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობები განვიხილე, დროა გადავიდე უშუალოდ ,,წამების'' დამამძიმებელი გარემოებების განხილვაზე, მის უკეთ აღსაქმელად კი თითოეული დამამძიმებელ გარემოებას მაგალითის სახით განვმარტავ, სანამ უშუალოდ განმარტებაზე გადავიდოდე, 144[1] მუხლს სრულად წარმოვადგენ ნაშრომში, შემდეგ კი მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებების განხილვაზე გადავალ.

,,მუხლი 144[1] წამება : 1. ე.ი. პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულებებისა და აღიარების მიღება, პირის

[70]Bank: (კომენტარებში)Dorr/Grote/Marauhn, EMRK/GG, Kap. 11 Rn. 10;

[71]ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016 გვ. 220;

დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

ბ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ. არაერთგზის;

დ. ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე. ჯგუფურად;

ვ. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვა გავარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვა გვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ. შეკვეთით;

ი. მძევლად ხელში ჩაგდებასთნ დაკავშირებით;

კ. სამედიცინო მანიპულაციის, მედიკამენტის ან სპეციალური ინსტრუმენტის (ხელსაწყო) გამოყენებით;

ლ. ანგარებით;

მ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღიარების იძულების მიზნით ან მესამე პირის ცრუ დასმენის მიზნით;

3. იგივე ქმედება

ა. ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალადობის გამოყენებით;

ბ. ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

გ. რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.''[72]

მაგალითბი:

- ა. ვარაუდობდა, რომ მისმა მეზობელმა ბ-მ მას მოპარა ძვირფასეულობა და მისი პირადად დასჯა გადაწყვიტა, თუმცა ის სახლში არ აღმოჩნდა და ვერ მიაგნო მის ადგილმდებარეობას. ა. იმდენად გაბრაზებული იყო, რომ გადაწყვიტა ბ-ს სახლში მისვლა და მისი მეუღლის ტანჯვა, ინფორმაციის მიღებისა და დაშინების მიზნით. სახლში გამოკეტვის გარდა, ის ბ-სმეუღლეს მძიმე შეურაცხყოფას აყენებდა და მთელი ღამე ძილის საშუალებას არ აძლევდა, ამ ყველაფერთან ერთად კი ცემდა, სიგარეტით ნამწვავებს ადებდა სხეულზე და შვილების მოკვლითაც ემუქრებოდა. მომდევნო დღეს ა მეზობლებმა პოლიციას გადასცეს. ყველაფერ ამას ბ-ს მეუღლის რამდენიმე კვირიანი მკურნალობა და ფსიქოლოგიური დახმარება მოჰყვა.[73]

  აღნიშნული მაგალითი 144[1] მუხლის 1 ნაწილი ნათლად ასახავს. მაგალითში, იკვეთება ქმედების, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური ნიშნები. ობიექტურ ნიშნად გვევლინება ბ–ს მეუღლის როგორც ფიზიკური ისე ფსიქიკური ტანჯვა, ფსიქიკურ ტანჯვაში კი დაშინება ერთ–ერთი ფაქტორია.

- ,,საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს ბრალი დაედო სამხედრო პირების წამების ორგანიზებაში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით(სსკ მუხ.25, 144[1], ნაწ. 2, ქვეპ. ,,ბ'', ,,დ''), რაც ბრალდების არსიდან გამომდინარე გამოიხატა იმაში, რომ სამუშაო ოთახში ჯარისკაცებს, რომლებიც არ დაემორჩილნენ მეთაურის ბრძანებას, აგინა, ბოთლი ესროლა და სამი დღის განმავლობაში აბაზანაში გამოაკეტინა გაუსაძლის პირობებში, სადაც გათბობა გამორთული იყო (საუბარია თებერვლის თვეზე). ყველაფერ ამან ჯარისკაცების ფსიქიკური და მორალური ტანჯვა გამოიწვია.''[74]

---

[72] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თბ., 1999, მუხ. 144[1]. 2019 წლის მდომარეობით;

[73]ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016 გვ. 213.

[74]ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016 გვ.218.

წარმოდგენლი მაგალითიდან, ჩანს, რომ დაირღვა 144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,ბ'' და ,,დ'' ქვეპუნქტები.რაც ულისხმობს, წამებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ;

144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,ვ'' ქვეპუნქტისწამებაადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის,ენის, სქესის,რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო; ნათელი მაგალითია:

- ერთ-ერთი უნივერსიტეტის, სტუდენტი, რომელიც ფერადკანიანია, ხშირად ხდება ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლი თავისივე თანაკურსელების მხრიდან, კერძოდ, მას აყენებენ განუწყვეტლივ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ,,ზანგო'' ,,გორილა'' ,,შენ მონა ხარ და მონასავით მოგექცევით'' ამ ფრაზების შემდეგ კი გადადიან ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, ცემენ, ხშირად ქამრითაც და ამით ხაზს უსვამენ მის არასრულფასოვენბას მათ საზოგადოებაში, ერთ-ერთი ასეთი ინციდენტისას აღნიშნულმა სტუდენტმა მიიღო სერიოზული დაზიანებები, რაც შემდეგში გამოიხატა, კანი გადაუსკდა რამდენიმე ადგილას, ქამრით მიყენებული დაზიანებების გამო, აღნიშნული დაზიანებების შედეგად მას დარჩა ნაიარევი, გარდა ამისა დაჭირდა როგორც სამედიცინო ისე ფსიქოლოგიური დახმარება, რათა ცხოვრება გაეგრძელებინა, არ ჩაკეტილიყო საკუთარ თავში და საზოგადოებისაგან გარიყულად არ ეგრძნო თავი.

144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,ზ'' ქვეპუნქტი, წამება უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, განვიხილავ შემდეგ შემთხვევას:

- 87 წლის ქალბატონი ანა, რომელიც ცხოვრობს თავის შვილთან, გიგასთან, გამუდმებით განიცდის მისი მხრიდან ძალადობას, რაც ფსიქოლოგიური ზეწოლის გარდა, საკვების მიუცემლობასა და პირადი ჰიგიენის დაუცველობაში გამოიხატება, გიგა საკუთარ დედას ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში არ აძლევს საჭმელს, რათა ქალბატონმა ანამ ვერ შეძლოს ბუნებრივი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილების შესრულება და არ გახდეს იძულებული მას, გამოუცვალოს საფენები, რადგან მას ეს

ფინანსურად ძვირი უჯდება. გარდა ამისა გიგა ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ დედა მას მძიმე ტვირთად აწევს, როგორც კისერზე, ისე ჯიბეზე და არ იშურებს სალანძღავ სიტყვებს, ,,უმაქნისი ადამიანი'' ,,ცოცხლაი ლეში'' ,,მუქთა მჭამელი'' ,,სუნიანი დედაბერი''.ამ შემთხვევაში გიგას დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარე მის მოტივში გამოიხატება, მას სურს, რომ დედის მიმართ ნაკლებად ყურადღებიანი იყოს, მის ჰიგიენაზე ხშირად არ იზრუნოს, რის გამოც ის საკვებს არ აძლევს ლოგინად ჩავარდნილ დედას და ამით ჩადის აღნიშნულ დანაშაულს.

შემდეგი მაგალითი 144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,თ'' ქვეპუნქტს წამება შეკვეთით წარმოადგენს:

- ტ-მ განიზრახა, რომ მისი ბაბუის მეზობელ ვინმე ვ-ზე, რომელიც ბაბუამისს ხშირად ეკამათებოდა მიწის ნაკვეთის გამო და ანერვიულებდა მოხუცს, რის შედეგადაც ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისას ბაბუას ნერვიულობის ნიადგაზე ინფარქტი დაემართა და დაიღუპა, შურიეძია და ინფარქტამდე თავად ვ-ც მიეყვანა, ამის გამო ის დაუკავშირდა ცუდი წარსულის მქონე კ-ს და აღნიშნული მეზობლის წამება შეუკვეთა, კ-მ ფულის სანაცვლოდ, მართლაც აწამა ვ, დააძრო ორივე ფეხის ფრჩხილები, თვალები გახელილ მდგომარეობაში 2 საათით დაუტოვა და მთელი დღის განმავლობაში თაკარა მზის ქვეშ უწყლოდ და უჩრდილოდ დატოვა.

შემდეგი შემთხვევა 144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,მ'' ქვეპუნქტს შეეხება კერძოდ, წამება, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღიარების იძულების მიზნით:

- მ-ს ეძებენ დ-ს 15 წლის შვილის სავარაუდო გაუპატიურებისათვის, სანამ მ-ს პოლიცია მიაგნებდა, მ-ს თავად დ-მ მიაგნო და გადაწყვიტა დანაშაულზე აღიარება პოლიციის დახმარების გარეშე, საკუთარი მეთოდებით მიეღო, რაც შემდეგში გამოიხატა, დ-მ, მ დაბა და უთხრა თუ ის არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, ის ფრჩხილებს ძალით დააძრობდა, დ-მ, მ-ს მარცხენა ხელზე 3 ფრჩხილი ამოაძრო, თუმცა დანაშაული მ-მ მაინც არ აღიარა, ამის შემდეგ მან კვლავ განაგრძო მ-ს ტანჯვა და ქვედა ყბის სახსრიდან 2 კბილი ამოაძრო ,,ბრტყელტუჩათი'' ყოველგავრი გაუმტკივარების გარეშე, დ-ს აღნიშნული პიროვნება 3 დღის განმავლობაში ყავდა ჩაკეტილი, ერთ-ერთ მიტოვებულ სადგომში, და მის წამებას განაგრძობდა, სანამ

პოლიციამ არ იპოვა ისინი.მოცემულ შემთხვევაში, ობიექტურ ნიშნად გვევლინება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, კერძოდ დ–ს მიერ მ–ს ფიზიკურ წამებაში, ხოლო სუბიექტური მხრივ მას ამოძრავებდა სურვილი, რაც მდგომარეობდა დ–ს აღიარებითი ჩვენების მიღებაში.

სსკ-ს 144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,კ'' ქვეპუნქტის მიხედვით დასჯადია ქმედება, რომელიც სამედიცინო მანიპულაციის, მედიკამენტის ან სპეციალური ინსტრუმენტის (ხელსაწყო) გამოყენებით ზიანს მიაყენებს ადამიანს:

- თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიიყვანეს პაციენტი, რომელიც თავბრუს ხვევასა და სისუსტეს უჩიოდა, როგორც აღმოჩნდა აღნიშნული ქალბატონი ფეხმძიმედ იყო, მისი მკურნალი ექიმი კი ასევე ქალბატონი, რომელმაც იცოდა, რომ აღნიშნული პაციენტი მისი ქმრის საყვარელი იყო და ბავშვის სავარაუდო მამაც ის იქნებოდა, შურისძიების გრძნობით დაბრმავებულმა გადაწყვიტა პაციენტის დასჯა, დაშინება და მას ნებართვის გარეშე, ისეთი პრეპარატი მისცა, რომელის მიცემაც მხოლოდ პაციენტის თნხმობით ხდება. ექიმმა იცოდა ახალი პრეპრატის შესახებ, რომელიც სხეულის იმუნიტეტს ამაღლებდა თუმცა აღნიშნული ხშირად გაუსაძლის ტკივილებს იწვევდა პაციენტზე ზემოქმედებისას, ეს იყო წამლის გვერდითი ეფექტი, რომელიც იმუნური სისტემის გაუმჯობესების პროცესში ვლინდებოდა, ხოლო ასეთი მედიკამენტის მიღება პაციენტის თანხმობის გარეშე აკრძალული იყო, ვიანიდან ტკივილები ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა, რასაც შეიძლება ორსულ ქალბატონზე ცუდად ექმოქმედა.აღნიშნული შემთხვევა ასევე მოიცავს 144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,ზ'' ქვეპუნქტს.

შემდეგი მაგალითი ასახავს 144[1] მუხლის 2 ნაწილის ,,ე'' ქვეპუნქტისა წამება ჯგუფურად და 3 ნაწილის ,,ა'' და ,,გ'' ქვეპუნქტებს წამება ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალადობის გამოყენებით და რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი:

- მაღალ მთიანი აჭარის ერთ-ერთ სოფელში, სადაც დამსვენებლები არც თუ ისე ხშირად დადიან, 2016 წლის აგვისტოს, ესტუმრა 2 გოგონა, რომელთაგან ერთ-ერთი მე-3 დღეს გაუჩინარდა, აღნიშნულის შესახებ პოლიციაში განაცხადა მისმა

მეგობარმა, რასაც საქმის აღძვრა და გამოძიების დაწყება მოყვა, გამოძიების დაწყებიდან და გოგონას დაკარგვიდან ერთი კვირის თავზე, დაკარგული გოგონას ნაწამები და დასახიჩრებული სხეული იპოვნეს, გამოძიებისას დადგინდა, რომ გოგონა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაიტაცეს (სამი 25 დან 28 წლამდე მამაკაცი), გატაცებიდან 3 დღის განმავლობაში აღნიშნული პიროვნებები, ძალადობდნენ მასზე, როგორც სექსუალური ხასიათის ქმედებებით, ასევე ფიზიკურად, ვინაიდან გოგონა მათ ეწინააღმდეგებოდა და არ ნებდებოდა მათ სურვილებს, ისინი გამეტებით ურტყამდნენ მას და გონების დაკარგვის მიზნით დახრჩობის იმიტაციას აკეთებდნენ, ერთ-ერთი ასეთი ქმედებისას კი, გოგონა მართლა გარდაცვალა.

შევეცადე, აღნიშნული მაგალითების მეშვეობით, ნათლად გადმომეცა 144^1 მუხლის ,,წამების'' დამაძიმებელი გარემოებების შესახებ, რათა უკეთ შეძლოთ მისი არსის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის აღქმა და გააზრება, ის თუ როგორი საშიში და რთულია ადამიანისათვის ამ ქმედებებიდან, თუნდაც რომელიმეს გადატანა, არა თუ მრავალი მათგანისათვის ერთად გაძლება და ამ ყველაფრის შემდეგ ნორმალურ ცხოვრებასთან ადაპტაცია.

2.5 წამებისა(მუხლი 144^1) და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის (144^3მუხლი) გამიჯვნა

,,წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა

გაუქმდა. შესაბამისი გადაწყვეტილბეა პარლამენტმა 2016 წლის 1 დეკემბერს მიიღო. მან მესამე მოსმენით, 107 ხმით არც ერთის წინააღმდეგ დაამტკიცა კანონპროექტი ,,სისხლის სამართლის კოდექსში'' ცვლილებების შეტანის თაობაზე. რის მიხედვითაც, ხანდაზმულობა არ გამოიყენება წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულზე''.[75]

,,წამება არის ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის სერიოზული დარღვევა. ეს დანაშაული უძველესი დროიდან მოდის და ახლაც ხშირად ხდება. ამის გამო, წამების ამკრძალავი ზომების ფარგლები ალბათ საოცრად ფართოა. წლების განმავლობაში წამების სხვადასხვა ფორმებად იყო მიჩნეული ფიზიკური თუ მორალური შეურაცხყოფის, ასევე ნაკლებ სერიოზული ხასიათის შეურაცხყოფისა და თვით მუქარის კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა მრავალი ფაქტი. სხვადასხვა მუხლებში განხილულია მოპყრობის ფორმებისათვის დამახასიათებელი იერარქია, რომლის კულმინაციას წარმოადგენს წამება, როგორც მოპყრობის ყველაზე მძიმე ფორმა. ბევრ მიმართებაში, ეს არის არაადამიანური მოპყრობის დამძიმებული ფორმა, რომელიც თავისთავად კვალიფიცირდება როგორც მოპყრობის ან სასჯელის უფრო სერიოზული ფორმა, ვიდრე დამამცირებელი მოპყრობა. თითოეული დოკუმენტი კრძალავს ყველა ამფორმას. ევროპული კონვენცია არ შეიცავს სიტყვას ,,სასტიკი", თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ევროპული კონვენციის განმარტებებით სასტიკად მოპყრობის ნებისმიერი ფორმა ყველა შემთხვევაში აუცილებლად ექცევა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფარგლებში. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ საქმის „ირლანდი აგაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" განხილვისას დაასკვნა, რომ ევროპული კონვენციის მიხედვით ტერმინი „წამება" დაკავშირებული იყო წინასწარი განზრახვით განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობასთან, რასაც თანმოსდევს მეტად სერიოზული და სასტიკი ტანჯვა''.[76]

---

[75]ხანდაზმულობის ვადის გაუქმება, http://netgazeti.ge/news/158875/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

[76]http://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, სიცოცხლის უფლებასთან ერთად, ყველაზე ფუნდამენტური მოთხოვნაა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში. მსოფლიოს თანამედროვე საზოგადოებისათვის იმდენად დიდი იყო წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის მნიშვნელობა, რომ იგი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილადაც იქცა და ,,jus cogens''-ად (იმპერატიული ნორმა) ჩაითვალა.[77]

როგორც, წამება ისე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრბა ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე მძიმე შემთხვევად მიიჩნევა. ამჟამად არ არსებობს უნივერსალური განმარტება იმისა, თუ რა ფარგლებში შეიძლება ექცეოდეს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრბა, იმ საერთო აზრის გარდა, რომლის მიხედვითაც არაადამიანუი მოპყრობის ქვეშ იგულისხმება უფრო ნაკლები ხარისხის სიმკაცრე, ცუდად მოპყრობის ინტენსიობა და სისასტიკე, ვიდრე წამებისას.[78]

სსკ-ის 144[3] მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) ობიექტური მხარის ნიშანი, რაც არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებათ მოიაზრება, თითქმის არაფრით განსხვავდება ,,წამების'' (მუხლი 144[1]), ობიექტური ნიშნისაგან, რის გამოც მათი გამიჯვნა ძალიან რთულია. არაადამიანური მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს იგივე ქმედებაში, რაც დამახასიათებელია წამებისათვის, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ სსკ-ის 144[3]-ის მუხლის (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) შემთხვევაში, დამნაშავეს არ ამოძრავებს ის მიზნები, რაც აუცილებელია ქმედების წამებად კვალიფიკაციისათვის (ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება). ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება კი გამოიხატება ისეთი ქმედებების განხორციელებაში, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანისადმი მოპყრობის ზნეობრივ წესს.[79]

---

[77] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, გვ. 141;

[78]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 210.

[79] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016 გვ. 299;

განსხვავებას დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას შორის ინტენსივობის ხარისხიდან გამომდინარე თუ დავადგენთ და ამაზე უკვე ვისაუბრე. წამების შემადგენლობა ახლოს დგას სსკ-ის 335-ე მუხლის შემადგენლობასთან: განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. ერთი შეხედვით, სსკ-ის335-ე მუხლი სპეციალურია და მაგალითად, ჩვენების წამების გზით მიღების დროს, მოხელე ამ მუხლით უნდა დაისაჯოს, მაგრამ ეს მცდარი მიდგომაა. სსკ-ის 335-ე მუხლში ნაგულისხმევია ისეთი ხარისხის იძულება, რომელიც თავისი ინტენსივობით ჩამოუვარდება წამებას, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას. ამიტომ, ამ ორ მუხლს შორის კოლიზია არ წარმოიშობა. 144^1 და 144^3 მუხლები ისედაცშეიცავს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მათი შემადგენლობების განხორციელებას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას.[80]

როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მათ შორის (144^1 და 144^3 მუხლები) უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს მიყენებული ტანჯვის სიმძიმეში. თუმცა, აღნიშნული ზღვრის დადგენისას შესაძლებელია, გარკვეულ სირთულეებს შევეჯახოთ. კერძოდ, ის ქმედება, რომელიც წარსულში შესაძლოა, ითვლებოდა, როგორც არაადამიანურ ქმედებად, მომავალში შესაძლოა, ჩაითვალოს როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ყველაზე უხეშ დარღვევად, ანუ წამებად. რის გამოც, ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციები არ ახდენენ განსხვავებას უფლებათა სხვადასხვა კატეგორიებს შორის და სწორედ ამის გამო არ არსებობს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, სასჯელისა და სხვა ტერმინების სხვაგვარი კომბინაციების საერთაშორისო განმარტება. მაგარმ ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ნახსენები ნორმების იმპლემენტაცია მომხდარიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.[81]

პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება შეიძლება გამოიხატოს ადამიანის ქუჩაში გაგდებაში ნახევრად შიშველ ან სრულიად სიშველ

---

[80]ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 219.

[81]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 211;

მდგომარეობაში, მოსწავლეების თვალწინ მასწავლებლისათვის თავზე რაიმე დოკუმენტის გადახევაში და ა.შ. პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას ადგილი მაშინ აქვს, როცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ღამით შეიჭრებიან მოქალაქის ბინაში, წამოყრიან მათ ლოგინიდან, არ მისცემენ მოწესრიგების საშუალებას და ნახევრად შიშვლებს, ხელბორკილდადებულებს გაატარებენ ქუჩაში, ამ სცენას კი ტელევიზიის საშუალებით გააშუქებენ. აქ მოყვანილ მაგალითებს, შედეგად უნდა მოყვეს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა. ძლიერი ფიზიკური ტკივილის არსი განხილული მაქვს 144[1] (წამება) მუხლის განმარტებისას, რაც შეეხება ფსიქიკურ ტკივილს, აქ შესაძლოა შეკითხვა გაჩნდეს ,,რით განვასხვავოთ ის ფსიქიკური ტანჯვისგან?'', არავითარი ზნეობრივი ან სამედიცინო საშუალებები მათი გამიჯვნისთვის არ არსებობს. ამიტომ, კანონმდებელს ახალ ახლი ტერმინოლოგია შემოაქვს ხმარებაში, რაც სასამართლო პრაქტიკას გარკვეულ პრობლემებს უქმნის.[82]

2005 წლის 23 ივნისს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მოხდა როგორც წამების, ისე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი დეფინიცია (ცნების ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით). აღნიშნულმა ცვლილებებმა აღმოფხვრა სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ყველა ხარვეზი, რომელიც წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დანაშაულად გამოცხადებასთან დაკავშირებით არსებობდა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, შემოღებულ იქნა წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი ქმედების განმარტება, რომელიც მანამდე არ არსებობდა კოდექსში და გარკვეულ სამართლებრივ სიძნელეებს უქმნიდა მოსამართლეებს, გამომძიებლებსა და პროკურორებს, რის გამოც ქმედებების მართებული დაკვალიფიცირება ვერ ხდებოდა.[83]

---

[82]ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016 გვ. 299-300;

[83]გამყრელიძე ო. და სხვები, (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 211;

მიუხედავად ამ პოზიტიური ნაბიჯებისა, რომლებიც ამ მიმართულებით გადაიდგა, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოები და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრებო ორგანიზაციები კვლავაც გამოთქვამენ შენიშვნებსა და შეშფოთებას საქართველოში წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრბის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის მიმართ.[84]

როგორც ხედავთ, აღნიშნული მუხლები ძალიან გვანან ერთმანეთს, მიყენებული ტკივილი და ტანჯვა კი თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად აღქმადია, ვინაიადნ ყველა ადამიანს სჭირდება თავისი ფსიქიკისთვის შესაფერისი ზრუნვა, რა თქმა უნდა, არსებობს საზოგადო ნორმები, რომლის მიხედვითაც ხდება ამა თუ იმ ქმედებების დარეგულირება ან რაიმე ჩარჩოში მათი მოქცევა, თუმცა არა ყველა შემთხვევაში. რის გამოც 144^1 და 144^3 მუხლების გამიჯვნა არც თუ ისე მარტივია ერთმანეთსიგან, ამის ნათელი მაგალითი კი ადამიანის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაა და მასში განხორციელებული პრეცედენტებია, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ, რაც ერთობ მნიშვნელოვნად, დადებითი კუთხით წაადგება საქართველოს სასამათლო პრაქტიკასაც.

თავი III. კვლევის შედეგები

ჩემთვის, როგორც სამართალმცოდნისთვის კვლევის მიზანს წარმოადგენს, არსებული თემის სიღრმისეული ცოდნა, მის გარშემო არსებული პრობლემების

[84]იქვე, გვ. 212.

შესწავლა და მათი გადაჭრის ხერხების ძიება.კვლევის ამოცანებს განსაზღვრავს: მდგომარეობის აღქმა და შეფასება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, იმ ორგანოების დამოუკიდებლობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანის უფლებების დაცვასა და უსაფრთხოებაზე, (მაგალითად პენიტენციური დაწესებულება) და ა.შ.

ბოლო ათწლეულის მანძილზე როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ხასგასმით აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არარსებობა საქართველოში წამების პრევენციას აბრკოლებს, ბოლო პერიოდში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა დააჩქარა იმ კონკრეტული პრიორტეტების წინა პლანზე წამოწევით, რომლებიც ასოცირების დღის წესრიგში იყო მიცემული. ერთ–ერთი პრიორიტეტია წამების პრევენცია და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა დამოუკიდებელი და ეფექტური საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბების გზით.[85]

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით და რატიფიცირებით საქართველომ ვალდებულება აიღო, რომ განამტკიცებდა კანონის უზენაესობას, სამართალდამცავი ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებასა და მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვას.[86]

ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014–2016 წლებში ასოცირების დღის წესრიგი შეიცავს დებულებებს, რაც წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციის გაძლიერებას ეხება.[87]

საქართველოს ხელისუფლებამ წამების ბრალდების ზედმიწევნით, გამჭირვალედ და დამოუკიდებლად გამოძიების საკითხი შეიტანა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ,,ეროვნულ

[85]ჭანტურია ც., ,,ფონდი ღია საზოგადოება–საქართველო'', თბ.,/რიგა, 2015, გვ. 1;

[86] ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმება, http:// eeas.europa.eu, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019;

[87] ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგი, http://eeas. europa.eu, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

სამოქმედო გეგმაში'', რაც შესაბამისი უწყებების ვალდებულებაცაა.[88]მოკლედ, რომ ვთქვათ, აღნიშნული საგამოძიებო საშუალებების არარსებობა, ცუდად მოქმედებს ქვეყნის განვითარებასა და მის შიგნით განვითარებულ მოვლენებზე, რაც საზოგადოებაზე პირდაპირ აისახება და წამების შემთხვევების აღმოფხვრის უკუპროპორციული იქნება.

,,წამების ამსახველმა ვიდეოჩანაწერებმა და ინფორმაციამ ციხის თანამშრომელთა მიერ პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპრყობის თაობაზე გამოჟონა და ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საქართველოში. ეს მოხდა უშუალოდ 2012 წლის 1 ოქტომბრის წინ, ანუ მთავრობის ცვლილებამდე ცოტახნით ადრე. როგორც ამბობენ, სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წესრიგის დამყარებას საფუძვლად დაედო პატიმართა ღირსების შელახვა და ძალადობა. 2003-2013 წლებში საპატიმროებში არსებული ვითარების შესასწავლად, ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს ჩაუტარდათ რაოდენობრივი კვლევა გასაუბრების სახით, 2014 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით. კვლევა მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ როგორი საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ პატიმრებს და როგორ ეპყრობოდნენ მათ პენიტენციალურ დაწესებულებებში დაწყებული 2003 წლიდან, და აგრეთვე, პატიმართა წამების და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტისა და მიზეზების შესწავლას. გამოკითხვის მიზნით გასაუბრება ჩაუტარდა 1,199 ყოფილ და იმჟამად პატიმრობაში მყოფ პირს. უფრო ზუსტად, გამოკითხულთაგან 601 რესპოდენტი ყოფილი პატიმარი იყო, ხოლო 598-იმჟამად პატიმრობაში მყოფი პირი (აქედან 21 წინასწარ პატირმობაში მყოფი პირი). გამოკითხვა შემთხვევითი შერჩევის პრინციპს დაეყრდნო. შერჩევის საფუძველი გამოკითხვის საწყის ეტაპზე შემუშავდა. ყოფილი პატიმრებისთვის შემუშავებული გამოკითხვის საფუძველი გულისხმობდა პატიმრობიდან უკვე განთავისუფლებული პირების გეოგრაფიული გავრცელების განსაზღვრას. კვლევის გუნდის სახელით პრობაციის სააგენტოებმა მთელიქვეყნის

[88] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №1516 და №59 განკარგულებით.

ტერიტორიაზე მოიძიეს და დაუკავშირდნენ ყოფილ პატიმრებს, რომელთაც სთხოვეს თანხმობის შემთხვევაში მონაწილეობა მიეღოთ გამოკითხვაში. შემდეგ მკვლევართა გუნდი დაუკავშირდა იმ პატიმრებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მონაწილეობაზე. რაც შეეხება იმჟამად პატიმრობაში მყოფ პირებს, შერჩევის ამავე პრინციპით შედგა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმდროს საქართველოში არსებული ყველა პატიმრის სია. გამოკითხვა განხორციელდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პენიტენციალურ დაწესებულებებში.''[89]

,,ყოფილიდაამჟამინდელიპატიმრებიგანსხვავებულადახასიათებენსხვადასხვა დაწესებულებებშიპატიმრებისწამებისადაარაადამიანურიმოპყრობისფაქტებისგავრცელებისინტენსივობას. ამჟამინდელი პატიმრები, ყოფილ პატიმრებთან შედარებით, უფრო მეტად აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული. ყოფილ პატიმრებს შორის ყოველი მეორე გამოკითხული (51%) აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) ხდებოდა, ხოლო ამჟამინდელი პატიმრების 76% აღნიშნავს, რომ საპატიმროებში ყოველდღიურად აწამებდნენ ადამიანებს. რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობის, 64%–ის მონათხრობით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. რაც შეეხება პოლიციის იზოლატორებსა და სამმართველოებს/განყოფილებებს, ყოველი მეოთხე რესპონდენტი ამბობს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) ხდებოდა. გამოკითხულთ მხოლოდ 1.5% ამბობს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. პოლიციის იზოლატორების, სამმართველოების/განყოფილებებისა და უშიშროების იზოლატორის (ე.წ. „მოდულის“) შემთხვევაში რესპონდენტთა 13–14% ამბობს, რომ აღნიშნულ

[89] საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამინური მოპყრობის პრაქტიკის კვლევა, თბ., 2014, გვ. 4.

დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. თუმცა, უნდააღინიშნოს, რომ პოლიციის იზოლატორებში, სამმართველოებში/განყოფილებებსა და უშიშროების იზოლატორში წამების და არაადამიანური ფაქტების ინტენსივობის შეფასებისას, მაღალია იმადამიანთა ხვედრითი წილი (მერყეობს 31-61%-ისფარგლებში), რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ.''[90]

,,საერთაშორისო ინსტრუმენტებში მოცემულია, როგორ უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმები წამების გამოსაძიებლად. საჭიროა აღნიშნული პრაქტიკის გათავისება ასეთი მექანიზმის საქართველოში დანერგვისას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გამოძიების ეფექტურობას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ზედმიწევნითობა; მყისიერება; კომპეტენცია; ასევე დაზარალებულის მონაწილეობა საზოგადოებრივ ზედამხედველობაში.

საერთაშორისო მოთხოვნების საპირისპიროდ, გამოძიების ამჟამად არსებულ სისტემაში შემდეგი ხარვეზები გამოვლინდა:

- გამოძიების დაწყების საფუძვლები–გამოძიება იშვიათდ იწყება საჩივრის გარეშე. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გამოძიება უნდა ხორციელდებოდეს მაშინ, როცა არის წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ნიშნები, ოფიციალური საჩივრის გარეშეც.
- არაადეკვატური სანქციები– სამართალდამრღვევები იშვიათად წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე, რა დროსაც სანქციები მათ მიერ დანაშაულის სიმძიმეს და მახასიათებლებს არ შეესაბამება.
- საგამოძიებო მექანიზმის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობა– გამოძიების ეფექტურობისათვის, მასზე პასუხისმგებელი და მისი განმახორციელებელი პირები დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ, სამართლებრივადაც და პრაქტიკაშიც. ეს არა მარტო ინსტიტუციური ან იერარქიული

[90]საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამინური მოპყრობის პრაქტიკის კვლევა, თბ., 2014, გვ. 8.

კავშირების არარსებობას ნიშნავს, ამ ბრალდებებში ჩართულ პირებთან, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.

- სუსტი სასამართლო ზედამხედველობა– მოსამართლეები არ იკვლევენ ინფორმაციას, შეიძლებოდა თუ არა ბრალდებული დაქვემდებარებოდა არასათნადო მოპყრობას და ამასთან, არც დაუყოვნებლიბ გამოძიების შესახებ არ იღებენ გადაწყვეტილებას.''[91]

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციას2010 წელს განხორციელებული ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტები დადებით შთაბეჭდილებას ქმნის, ისევე როგორც წინა პერიოდისას, კერძოდ, პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით საქართველოში მკვეთრად გაუმჯობესდა მდგომარეობა. იგივე დაასტურდა სხვადასხვა პირმა, ვისთანაც დელეგაციამ შეხვედრები გამართა ვიზიტისას (სახალხო დამცველის სამსახურის თნამშრომლებმა, არასამთავრებო ორგანიზაციებმა). 2010 წლის ვიზიტის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ინფორმაცია მიაწოდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციას პოლიციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გატარებული ზომების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, გაუმჯობესდა ახალი კადრების შერჩევა სამსახურში მიღების საკონკურსო პროცედურისა და ფსიქოლოგიური ტესტირების შემოღებით. მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა, საწყის და მიმდინარე ტრენინგებში, რომელსაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია ზედამხედველობს. ტრენინგის ძირითადი კურსის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძალის გამოყენების საკითხს, სპეცსაშუალებებსა და ცეცხლსასროლ იარაღს. 2009 წლის შემდეგ პოლიციის ყველა თანამშრომელს პერიოდულად უტარდება ხელახალი ტრენინგი ადამიანის უფლებებსა და ძალის გამოყენებასთან მიმართებით. რაც შეეხება დროებით იზოლატორში მომუშავე პერსონალს, მათთვის სპეციალურ ტრენინგს უზრუნველყოფს სამინისტროს ადამიანის უფლებათ დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო. ასევე დაინერგა კიდევ ერთი ახალი სისტემა, რომლის

[91]ჭანტურია. ც., ,,ფონდი ღია საზოგადოება–საქართველო'',, თბ.,/რიგა, 2015, გვ. 5–6;

მიხედვითაც დაწინაურების ერთ–ერთი პირობაა, პოლიციის თანამშრომელმა გაიაროს გადამზადების კურსი, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიონალიზმის ამაღლებას და შესაბამისად მათ მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.[92]

კვლევის შედეგად, აღმოვაჩინე, წამების შედეგად დაზარალებული ადამნიანიებისათვის, საქართველოში ერთ–ერთი დახმარების ცენტრი, რომელიც. ,,წამებისმსხვერპლთა ფსიქოლოგიურიდა სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი – GCRT'', სახელით არის ცნობილი, ხოლო მისი მუშაობის მექანიზმი შემდეგია: ,,წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი – GCRT წარმოადგენს არა სამეწარმეო, არა სამთავრებო ორგანიზაციას, რომელიც 2000 წლიდან უფასო ფსიქოსოციალურ, სამედიცინო და იურიდიულ მომსახურებას უწევს წამების, არაჰუმანური მოპყრობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს. 2000 წლიდან დღემდე GCRT–მ დახმარება გაუწია 8000–მდე ბენეფიციარს.

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი მულტი დისციპლინური გუნდითაა დაკომპლექტებული. ცენტრში მუშაობენ ზოგადი პროფილის ექიმები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, ბავშვთა და ზრდასრულთა ფსიქოთერაპევტები, იურისტები.

GCRT მხარში უდგას წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ მიმართულ ყველა საერთაშორისო და ეროვნულ კამპანიას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს საქართელოში ჯანსაღი, არაძალადობრივი და ჰუმანური საზოგადოების მშენებლობაში. ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში, განათლების სფეროში, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ფსიქოტრავმატოლოგიის ცოდნის შეტანის და ამ ცოდნის ინსტიტუციონალიზაციის გზით, ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული ფსიქოტრავმატოლოგიის დარგის განვითარებაში. გარდა ამისა, ორგანიზაცია ეხმარება სახელმწიფოს ტრუქტურებს ინოვაციური მიდგომების და სერვისების დანერგვასა და განვითარებაში. ცენტრი ადამიანის უფლებათა დაცვის

[92]საქართველოს ხელისუფლების წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი), საქართველოში ვიზიტის შემდგომი ანგარიში, სტრასბურგი, 2010, გვ. 13–14;

კუთხითაც მუშაობს. სწორედ აქტიური უფლებადაცვითი საქმიანობის შედეგად GCRT თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი დ აწევრი გახდა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ საქართველოს საზღვრებს გარეთ პროფესიონალების მომზადების, მათი მხარდაჭერის და სერვისების აწყობის პროცესში ჩაერთო''.[93]

[93]წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი, http://www.cso.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.22.2019.

დასკვნა

ამრიგად, განვიხილე ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილი (სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლი), რომელიც წარმოადგენს მეტად საინტერესო თემას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. როგორც ხედავთ, ეს მუხლი ეხება ადამიანისათვის უმძიმეს მდგომარეობას, წამებას.

ვისაუბრე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 –ე მუხლის შემადგენლობაზე, შევადარე ასევე 144^3–ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლს, ვისაუბრე მის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებზე, განვიხილე იგი და დავასახელე მისი გამომწვევი მიზეზები. ახლა კი მინდა დასკვნის სახით ჩამოვაყალიბო ძირითადი სათქმელი, რომელიც თემაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, ძირითადად მნიშვნელოვანი კი უარყოფითი მხარეების გამოვლენაა.

პირველ რიგში, მინდა ერთ–ერთ პრობლემად 144^1 და 144^3 მუხლების მსგავსება დავასახელო, რომელთა შემადგენლობებიც თითქმის იდენტურია, რაც ხელს უშლის მათ გამიჯვნას და სასჯელის დანიშვნისას ამან შესაძლოა დიდი პრობლემები წარმოქმნას, ამ პრობლემის გადასაჭრელად კარგი იქნება თუ ჩვენი სასამართლო პრაქტიკა მაგალითს ადამიანის ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან აიღებს, რასაც მოყვება პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიღება და ეს ერთგვარ ახალ გამოწვევად იქცევასასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას.

შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მრავალი პოზიტიური ღონისზიება გატარდა, განსახილველი დანაშაულის აკრძალვასთან დაკავშირებით. ამასთან შემიძლია ისიც ავღნიშნო, რომ ეს ყველაფერი არა საკმარისია და ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ გასაგრძელებელია, რადგან სრულად იქნეს აღმოფხვრილი ისეთი პოლიტიკა, რომელიც ბოლო წლების მანძილძე ჩვენს

ქვეყანაში მძვინვარებდა და არაა გამორიცხული ახლაც ხდებოდეს მსგავსი შემთხვევები. ამისათვის კი კარგი იქნება ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საგმოძიებო ორგანო, რომელიც წამების, არადამიანური ან დამამცირებელ მოპყრობის შემთხვევებს გამოიძიებს და მათ პრევენციას მოახდენს, როგორც ფართო საზოგადოებისათვის ისე ძალოვანი სტრუქტურებისთვის, ვიანიდან ერთ–ერთი პროცენტულად დიდი მაჩვენებელი განსხაილველი დანაშაულისა, სწორედ პოლიციელებისა და პენიტენციური დაწესებულებების კედლებში დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო ზედა პოზიციაზე მომუშავე ადამიანების ბრძანებებიდან. აქ პრობლემა იმაშიც ისახება, რომ მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანის მითითება, რაც არ უნდა უღირსი იყოს ის, შესრულებადია დაბალ საფეხურზე მომუშავე ადამიანებისათვის.

აღსანიშნავი და ყურადღება მისაქცევია ის ფაქტიც, რომ ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ სხვა ადამიანების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, როგორც ფიზიკური ისე ფსიქიკური კუთხით, ასევე გაწონასწორებულები იყვნენ განსაკუთრებით ფსიქიკური მონაცემებით. პოლიციელები, ექიმები თუ პენიტენციური დაწესებულების მომსახურე პერსონალი, უნდა გადიოდეს ფსიქოლოგიურ შემოწმებას და მხოლოდ ამის შემდეგ საქმდებოდნენ აღნიშნულ პოზიციებზე, რაც კიდევ უფრო შეამცირებს მსგავსი სახის დანაშაულებს ამ და სხვა დაწესებულებებში.

მნიშვნელოვანია ქვეყანაში იყოს ისეთი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლებს და მათ ოჯახის წევრებს, გაუწევს შესაბამის ფსიქოლოგიურ დახმარებას, რადგან ზოგიერთ ადამიანს ასეთი შემთხვევები საკმაოდ რთულად გადააქვს, რამაც შესაძლოა სამუდამო დაღი დაასვას როგორც მსხვერპლებს, ისე მათ ოჯახის წევრებს.

ყოველივე ამ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე, იმიტომ შევაჩერე ყურადღება, რომ ნათლად და კონკრეტულად გამოვკვეთო ის ხარვეზები, რაც ამ დანაშაულს ახლავს თან, მიუხედავად საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების რეკომენდაციების და ზედამხედველობისა. ამრიგად,

როგორც საქართველოს ხელისუფლებამ, ისე სასამართლო ორგანოებმა, უნდა უზრუნველყონ ახალი მეთოდების დანერგვა და განხორციელება, რათა არ დავუბრუნდეთ მძიმე წარსულს და აღმოვფხვრათ ყველა სახის წამება და არაადამიანური მოპყრობა ჩვენს ქვეყანაში, ამაში კი წვლილი თითოეულმა ინდივიდმა უნდა შევიტანოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი .,2004;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
3. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი – პირველი ტომი, (მეექვსე გამოცემა) თბ.,2016;
4. ბატონიშვილი. დ, სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა თბ., 2013;
5. ბოხაშვილი. ბ, კორკელია.კ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ.,2017;
6. ვესელსი. ი, ბოილკე. ვ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი .,თბ2010;
7. კევლიშვილი. მ, სადისერტაციონაშრომისამართლისდოქტორისაკადემიურიხარისხისმოსაპოვებლად, თბ., 2015;
8. ლეკვეიშვილი. მ, თოდუა. ნ, მამულაშვილი. გ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I,თბ., 2016;
9. მუავანაძე. ზ, მინდაძე. ო, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2005;
10. მჭედლიშვილი–ჰეინდრიხი. ქ, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი IIთბ., 2011;
11. ნაჭყებია. გ, დვალიძე. ი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი .,თბ2007;
12. ნაჭყებია. გ, თოდუა. ნ, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი .,თბ2016;

13.ნაჭყებია. გ, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი .,თბ 2011;

14. როგორ ავიცილოთ თავიდან წამება, რეკომენდაციები და სამართლებრივი ნორმები წამების მსხვერპლთათვის, .,თბ 2004;

15.საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისდასკვნა .,თბ2016;

16.საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამინური მოპყრობის პრაქტიკის კვლევა .,თბ2014;

17.საქართველოს ხელისუფლების წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი), საქართველოში ვიზიტის შემდგომი ანგარიში .,სტრასბურგი2010;

18.სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ .,თბ2008;

19.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი II გამოცემა .,თბ2016;

20.ყვავილაშვილი. ლ, განწყობა და ნებისმიერი ქცევა, ,,მაცნე'' , ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია .,თბ1992;

21.ჭანტურია. ც, ,,ფონდი ღია საზოგადოება–საქართველო'' ., თბ/რიგა;

22.ჯიშკარიანი. ბ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ .,თბ2016;

ნორმატიული აქტები

23.საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წელს, 2019 წლის მდგომა-რეობით;

24.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული 1999 წელს, 2019 წლის მდგომარეობით;

უცხოური ლიტერატურა

25.ВБ. С. Волковб Проблема воли и уголовная ответственность, казань, 1965;

26.Bank: (კომენტარებში)Dorr/Grote/Marauhn, EMRK/GG;

27. Bank,(კომენტარებში)Dorr/Grote/Marauhn,EMRK/GG;

28. Maurach/Zipf, AT/1 §20 Rn 4 ff: S/S-Lenckner/Eisele, Vorbem;

29. Grabenwarter/Pabel,EMRK;

30. http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-convention.pdf- წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენცია;

სასამართლო პრაქტიკა

31. საქართველოს მთავრობის №1516 და №59 განკარგულება;

32. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 1978 წლის განჩინება საქმეზე, Ireland v UK;

33. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2000 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე, Salman v Turkey;

34. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2000 წლის 6 აპრილის განჩინება საქმეზე, Labita v Italy;

35. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 1999 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე, T & V v UK;

36. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2006 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე, Jalloh v Germany;

37. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2003 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე, Ocalan v Turkey;

38. CPT_ის მოხსენება ალბანეთში 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით, CPT/inf (2006);

39. Castello-Roberts v. the United Kingdom, Application no. 13134/87.

ვებ. გვერდები

40. http://intermedia.ge/სტატია/46733;

41. http://liberali.ge/news/view/12975/;

42. https://1tv.ge;

43. http://www.nplg.gov.ge;

44. http://www.cso.ge/;

45. http://www.nplg.gov.ge/;

46. http://netgazeti.ge/news/158875/;

47. https://idfi.ge/ge/ ;

48. http:// eeas.europa.eu/;

49. http://eeas. europa.eu/;